პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი № 5 (10399) | პარასკევი, 6 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ავამაღლოთ რესპუბლიკური ორგანოების როლი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობაში. — „პრავდის“ 5-I მოწინავე (1-ლი გვერდი).

ნ. ბულგანინის დეპეშა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის (1-ლი გვერდი).

ნ. ბულგანინის დეპეშა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ი. ცედენბალს (1-ლი გვერდი).

ნ. ბულგანინის დეპეშა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერს დოქტორ კონრად ადენაუერს (1-ლი გვერდი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. — დეპუტატ მ. ი. კუჭავას სიტყვა; დეპუტატ ნ. ი. ბუსხელიშვილის სიტყვა (მე-2 გვერდი).

როცა კრიტიკას მტკივნეულად იღებენ (მე-2 გვერდი).

ი. ხარისჩარიშვილი. — მკვეთრად გავადიდოთ რძის წარმოება (მე-2 გვერდი).

ალზარდის თემაზე [illegible] (მე-2 გვერდი).

წმრილები რედაქციას. — ა. ბერუჩავა. — ინერგება რაციონალიზატორული წინადადებები; ა. დანელია. — ახალი საკოსტიუმე ქსოვილების გამოსაშვებად (მე-3 გვერდი).

შ. კურდღელაშვილი. — სუდანი (მე-4 გვერდი). უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ავამაღლოთ რესპუბლიკური ორგანოების როლი მრეწველობისადმი ხელმძღვანელობაში

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკა განუხრელად მიდის შემდგომი, სულ უფრო მძლავრი აღმავლობის გზით. განვლილი 1955 წლის შედეგები მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

სოციალისტური წარმოების დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ მრეწველობა და მეურნეობის ყველა სხვა დარგი ძლიერი ტემპით ვითარდება თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მძიმე ინდუსტრიას, როგორც სოციალისტური ეკონომიკის, ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველთა საფუძველს.

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის აყვავება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიის შედეგია. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მეურნეობისა და კულტურის სწრაფი ზრდა მკაფიოდ გამოხატავს სსრ კავშირის ხალხთა დიად და ურღვევ მეგობრობას, რომელიც საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ განავითარონ ყველა რესპუბლიკის საწარმოო ძალები, განმტკიცონ მათი ინდუსტრიული და სანედლეულო ბაზა, აღზარდონ კვალიფიციურ მუშაკთა კადრები, აამაღლონ რესპუბლიკური ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა მრეწველობისა და ეკონომიკის სხვა დარგებისადმი ხელმძღვანელობაში.

იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელობა დაუახლოვდეს საწარმოებს და კიდევ უფრო განვითარდეს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკა, ამ უკანასკნელ ხანს განხორციელდა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი რესპუბლიკური ორგანოების როლის გაძლიერებისათვის მთელ ეკონომიურ საქმიანობაში.

მოკავშირე რესპუბლიკებს უშუალოდ დაექვემდებარა დამატებით მძიმე ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ბევრი საწარმო, მშენებელი ორგანიზაციები და საბჭოთა მეურნეობები. ამის შედეგად მრეწველობის მთელი რიგი დარგები თითქმის მთლიანად, ხოლო მრეწველობის ბევრი დარგი ძალიან მნიშვნელოვანი ოდენობით ახლა რესპუბლიკურ ორგანოებს ექვემდებარება.

ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ რესპუბლიკაში სხვა სამინისტროებთან ერთად უკანასკნელ წლებში შეიქმნა სამინისტროები, რომლებიც განაგებენ მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს დარგებს, მაშინ როცა ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მათ თითქმის მთლიანად ხელმძღვანელობდნენ შესაბამისი საერთო საკავშირო ორგანოები. მაგალითად, უკრაინის სს რესპუბლიკაში ახლა არის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო და შავი მეტალურგიის სამინისტრო, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — ნავთობის მრეწველობის სამინისტრო, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — ფერადი მეტალურგიის სამინისტრო. მნიშვნელოვნად გაფართოდა სხვა რესპუბლიკების სამინისტროთა საწარმოების ქსელი. ამასთან დაკავშირებით გადიდდა მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობა სამრეწველო საწარმოთა საქმიანობისათვის.

როგორც აღინიშნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ მეოთხე სესიაზე, ადგილობრივი ინიციატივის გამოჩენისა და არსებული უმდიდრესი შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის ფართო შესაძლებლობას ქმნის ცვლილებები, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებით განხორციელდა მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის დაგეგმვისა და დაფინანსების დარგში. ამ გადაწყვეტილებათა თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამტკიცებენ ყველა სახეობის მრეწველობის იმ პროდუქციის წარმოებისა და განაწილების გეგმებს, რომელსაც რესპუბლიკათა სამინისტროების, უწყებებისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები გამოიმუშავებენ. ისინი რესპუბლიკური დაქვემდებარების ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს შორის ანაწილებენ აგრეთვე კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობას, აწესებენ მუშაკთა რაოდენობასა და ხელფასის ფონდს, ამტკიცებენ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფისა და კომუნალური მეურნეობის განვითარების გეგმიან მაჩვენებლებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლითაც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიენიჭათ დამატებით გამოყოფილი და რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების დროს მიღებული შემოსავალი გამოიყენონ გეგმის გადამეტებით საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. მარტო 1955 წლის პირველ ნახევარში ამგვარი დამატებითი შემოსავლიდან გამოყენებულ იქნა გეგმის გადამეტებით საწარმოთა, საბინაო მშენებლობისა და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად რუსეთის ფედერაციაში 525 მილიონი მანეთი, უკრაინაში — 206 მილიონი მანეთი, ბელორუსიაში — 20 მილიონი მანეთი, საქართველოში — 19 მილიონი მანეთი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რესპუბლიკებში, აგრეთვე ყაზახეთში, თურქმენეთში, ლიტვაში დღემდე დიდი ნაკლოვანებანი ახასიათებს ადგილობრივი და საათბობი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების, მსუბუქი, სატყეო და მრეწველობის სხვა დარგების ბევრი საწარმოს მუშაობას.

ლატვიის სს რესპუბლიკაში სისტემატურად ვერ ასრულებენ დაწესებულ სახელმწიფო გეგმებს, და კერძოდ ნაწარმის ასორტიმენტის დავალებებს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წამყვანი საწარმოები — ბოლდერაის სილიკატის აგურის ქარხანა, რიგის ცემენტის ქარხანა, მინის ქარხანა „სარკანდაუგავა“. მეზობელ ლიტვის სს რესპუბლიკაში კვლავ ჩამორჩება თევზის მრეწველობა. მოლდავეთის სს რესპუბლიკაში სერიოზული ნაკლოვანებებით მუშაობენ ტირასპოლის ავეჯის ფაბრიკა და კალარაშის საკონსერვო ქარხანა. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში საჭიროა სერიოზულად გაუმჯობესონ სტალინაბადის ტრიკოტაჟისა და აბრეშუმსახვეევ-საქსოვი ფაბრიკების საწარმოო მაჩვენებლები.

მოკავშირე რესპუბლიკების წარმოების ყველა დარგის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა მტკიცედ განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ. რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფასთან ერთად მოვალენი არიან იბრძოლონ წარმოების ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის.

განსაკუთრებით საჭიროა რესპუბლიკური მრეწველობის ყველა დარგში გაიშალოს ბრძოლა ფართო მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, შრომის სწორი ორგანიზაციისა და მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის, მრეწველობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირებას გაძლიერებისათვის. არ შეიძლება შეეფუროგდეთ იმას, რომ ზოგჯერ ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხები სულაც ისე არ წყდება, როგორც საჭიროა. მაგალითად, ერევნის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სომხეთის ქარხანა „ტექსტილდეტალის“ გაერთიანება კამვოლოურ კომბინატთან, რაც ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა, არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რადგან ამ საწარმოების პროდუქცია სულ სხვადასხვანაირია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე ბევრმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ მოგვეპოვება წარმოების დიდი რეზერვები, რომ საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონები. მგეგმავმა ორგანოებმა და საკავშირო სამინისტროებმა, რესპუბლიკების ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ფართო ინიციატივა უნდა გამოიჩინონ მრეწველობის განვითარების საკითხების გადაჭრაში, სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაყენონ მთელი შინაგანი რეზერვები და შესაძლებლობანი, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ რესპუბლიკათა ბუნებრივი სიმდიდრე და კიდევ უფრო განავითარონ საწარმოო ძალები.

განსაკუთრებით საჭიროა რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის ყველა საწარმომ მნიშვნელოვნად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, გადიდოს პროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესოს მისი ხარისხი და შეამციროს თვითღირებულება. ამისათვის ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვასთან ერთად საჭიროა მეტი ზრუნვა, რომ ავამაღლოთ მუშების კვალიფიკაცია და შეექმნათ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები, უადრესად ფართოდ გავავრცელოთ წარმოების ნოვატორთა მუშაობის ძვირფასი გამოცდილება, მეცნიერების მიღწევები, მოწინავე ინჟინერთა და ტექნიკოსთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა წინადადებანი.

ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს სისტემატურად უნდა აინტერესებდეთ, თუ როგორ მუშაობენ რესპუბლიკური სამინისტროები, ღრმად სწვდებოდნენ საწარმოთა ტექნიკასა და ეკონომიკას. სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს ფართოდ განიხილავენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობები. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა საკუთარი ჩაუდგენენ სოციალისტურ შეჯიბრებას, წარმართონ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა 1956 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესასრულებლად, გადაჭრით გამოამეღავნონ მუშაობის ნაკლოვანებანი და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჩვენი ქვეყანა ეგებება ღირსშესანიშნავ მოვლენას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. მილიონობით საბჭოთა ადამიანი ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ემზადება იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდეს პარტიის ყრილობას შემოქმედებითი შრომის ახალი წარმატებებით საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

„პრავდის“ 5/I მოწინავე.

ამუშავდა კამის ჰიდროელექტროსადგურის კიდევ სამი აგრეგატი

მოლოტოვი. (საკადესი). კამის ჰიდროკვანძის მშენებლებმა და მონტაჟელებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან, ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. მათ სამრეწველო დენის მისაღებად ამუშავეს ჰიდროელექტროსადგურის მეორე სექციის კიდევ სამი აგრეგატი.

ახლა „მოლოტოვენერგოს“ სისტემის ენერგეტიკულ რკალში ელექტროენერგიას უშვებს კამის ჰიდროელექტროსადგურის უკვე 14 აგრეგატი. ასამუშავებლად ამზადებენ მეორე სექციის კიდევ სამ აგრეგატს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

პეკინი

გულითად მადლობას გიძღვნით, ამხანაგო პრემიერო, მზურვალე მოლოცვისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა ძინინ—ულან-ბატორის რკინიგზის მშენებლობა და პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ამ ხაზზე.

მოსკოვ—ულან-ბატორ—პეკინის ხაზზე სარკინიგზო მიმოსვლის დაწყება ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას, აგრეთვე იმ რაიონების ყოველმხრივ განვითარებას, რომლებზეც ეს ხაზი გადის.

გთხოვთ გულითადი სალამი გადასცეთ ჩინელ მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც შრომითი გმირობა გამოიჩინეს გზის მშენებლობის დროს.

ვუსურვებ მოძმე ჩინელ ხალხს შემდგომ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

დაე მტკიცდებოდეს და ძლიერდებოდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა სამარადისო მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 5 იანვარი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ი. ცედენბალს

ულან-ბატორი

მადლობას გიძღვნით, ამხანაგო პრემიერ-მინისტრო, გულთბილი გრძნობებისათვის, რომლებიც გამოთქმულია თქვენს დეპეშაში იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ულან-ბატორ — ძინინ-უდეს რკინიგზა და პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა დაიწყო სსრ კავშირსა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

ულან-ბატორ—ძინინის რკინიგზის აშენება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებასა და გაფართოებას.

საბჭოთა ხალხი სულითა და გულით უსურვებს მონღოლ ხალხს ახალ-ახალ წარმატებას პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

დაე კიდევ უფრო გაფართოვდეს და განმტკიცდეს ურღვევი მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 5 იანვარი.

მის აღმატებულებას დოქტორ კონრად ადენაუერს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერს

ბონი

თქვენი დაბადების ოთხმოცი წლისთავის გამო გთხოვთ, ბ-ნო ფედერალურო კანცლერო, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა, გისურვებთ ჯანმრთელობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი

მოსკოვი, 1956 წლის 4 იანვარი.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

★

მოწინავეთა რიგებში

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა. დეკემბრის გეგმა 105,6 პროცენტით შეასრულა და თვითეული ტონა თუჯის ღირებულება გასულ თვეებთან შედარებით 20 მანეთით შეამცირა.

მებრძმედეები მაღალნაყოფიერად შრომობენ იანვარშიც. მარტო პირველ 4 დღეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 580 ტონა მაღალხარისხოვანი თუჯი. ყველაზე წინ მიდის ოსტატ ა. ძამაშვილის ბრიგადა.

მებრძმედეთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მაგნიტოგორსკელ ოსტატს ს. ჩერკასოვს, რომელიც ამას წინათ რუსთავში თანამომძეებს ეწვია და თავისი მდიდარი გამოცდილებით დაეხმარა მათ შემაფერხებელი მიზეზების სწრაფად აღმოფხვრაში.

★ ★ ★

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა ახალი წარმატება მოიპოვა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მეფეხსაცმელეებმა ჯერ კიდევ 26 ნოემბერს გაანაღდეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. გადაჭარბებით შეასრულეს ნატურალური პროდუქციის გამოშვების საასორტიმენტო დავალება. ამასთან პირველი ხარისხის ფეხსაცმელი გამოუშვეს 0,7 პროცენტით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, 6,6 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად შეამცირეს თვითღირებულება.

ფაბრიკის კოლექტივმა დაზოგილი მასალით დამზადა 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

სიახლის დანერგვის შედეგად

ხაშური. (საკ. კორ.). წელს გომის სპირტსახდელ ქარხანაში შემოღებულ იქნა ნედლეულის (შაქრის ჭარხლის ნარჩენი ბადაგის) ალკოჰოლური დღილის უწყვეტი მეთოდი, რამაც ქარხნის კოლექტივს გაუადვილა მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვება. სპირტის გამოსავლიანობა გაიზარდა 1,08 პროცენტით, გაწეულია 90 ტონა ქერის ეკონომია.

გომის სპირტსახდელი ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, სამშობლოს უკვე მისცა გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი დეკალიტრი სპირტი.



სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში შეუდგენენ ფურცელსაგლინავი დგანის „2.100“ გამოცდას. დგანი გამოუშვებს ფოლადის ფურცლებს. უკვე გამოშვებულია პირველი პროდუქცია — 12-მილიმეტრიანი ფოლადის ფურცლები. სურათზე: ფურცლის გლინვის მომენტი. დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) მვალცავი ბ. გრიგალაშვილი, უფროსი ოსტატი ი. შაბალინი, გლინვის ოსტატი თ. ტუღუში და ცვლის უფროსი ი. წირღვავა.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი

ბაკურ ალიევი

ქარელია-ფინეთის მეცნიერთა ახალი გამოკვლევები

პეტროზავოდსკი, 4 იანვარი. (საკადესი). აქ გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კარელია-ფინეთის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომამ შეაჯამა 1951-1955 წლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. საანგარიშო მოხსენება გააკეთა ფილიალის სწავლულმა მდივანმა მ. ნ. ვლასოვამ.

განვლილ ხუთწლედში რესპუბლიკის მეცნიერებმა ათობით დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა შეასრულეს. განზოგადებულია დასავლეთ კარელიის კომპლექსური ექსპედიციის მრავალი წლის მუშაობის შედეგები. ამ ექსპედიციამ შეისწავლა ნაკლებად ათვისებული რაიონების ბუნებრივი რესურსები. თევზის მარაგის გადიდების პრობლემასთან დაკავშირებული დიდი კვლევა წარმოებდა თეთრ ზღვაში. ჭაობმცოდნეებმა შეადგინეს კარელია-ფინეთის სსრ და ბევრი მისი რაიონის დაჭაობებული მსივების რუკები, გამოიკვლეს პირველი რიგის სასოფლო-სამეურნეო ათვისების ობიექტები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს გეოგრაფებმა, ისტორიკოსებმა, ფოლკლორისტებმა. გამოიცა და დასაბეჭდად გამზადებულია დიდი შრომები „კარელია-ფინეთის სსრ ეკონომიური გეოგრაფია“, „კარელია-ფინეთის სსრ ლიტერატურის ნარკვევები“, „ფინური ენის გრამატიკა“, ფინურ-რუსული ლექსიკონი და სხვ.

რესპუბლიკის მეცნიერთა ექვსი საუკეთესო გამოკვლევა აღინიშნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პრემიებით.

სამეცნიერო საბჭომ გააკრიტიკა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

ყარაყუმის არხის მშენებლობას მთელი ჩვენი ქვეყანა ეხმარება

კერკი (თურქმენეთის სსრ), 3 იანვარი. (საკადესი). ამუ-დარიის მარჯვენა ნაპირზე გაშლილია „ყარაყუმწყალმშენის“ კერკის სამმართველოს უდიდესი სატრანსპორტო კვანძი. ვრცელ ნავმისადგომებზე მოჩანს ხე-ტყის შტაბელები და საშენი ქვის მარაგი. ნაპირის ახლოს არხის ტრასზე გაგზავნას ელიან ამას წინათ მიღებული მძლავრი მექანიზმები. მარტო გასულ 1955 წელს მუკრის ნავმისადგომმა მიიღო 2.200-ზე მეტი ვაგონი სხვადასხვა საშენი მასალა, მანქანები, მოწყობილობა, საწვავი. ცემბირმა გამოგზავნა ხე-ტყე, საქართველომ — მიწისმწოვი მანქანები, ურალმა და უკრაინამ — ტრაქტორები და მიწისმთხრელი მექანიზმები, გორკიმ — ავტომანქანები, კარელია-ფინეთის რესპუბლიკამ — ასაწყობი სახლები. მშენებლობამ ბევრი ტვირთი მიიღო მდინარე ამუ-დარიის საშუალებით. ყარაყუმის არხის მშენებლობას ეხმარებიან აგრეთვე მოსკოვის, ალმა-ატისა და ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქის საწარმოთა კოლექტივები.

ახალი წლის წინ მშენებლებმა მიიღეს ორი ტრაქტორი „ს-80“, რომლებიც განკუთვნილია ქვიშაში მუშაობისათვის. ეს მანქანები დაამზადეს ჩელიაბინსკის ტრაქტორმშენებლებმა და ჩვეულებრივი ტრაქტორებისაგან განსხვავდებიან მუხლუხების ზომით, მძღოლის კაბინის მოწყობილობით. ქვიშისაგან მოტორის დასაცავად ტრაქტორებს აქვს გაუმჯობესებული ჰაერსაწმენდები.

წელს მნიშვნელოვნად გადიდდება ტვირთების ნაკადი ყარაყუმის არხის მშენებლობისათვის.

ლენინგრადის კინოსტუდიის ახალი ნაშრომები

ლენინგრადის კინოსტუდიამ „ლენფილმმა“ გამოუშვა ორი ახალი მხატვრული ფილმი. ერთი მათგანია კინოსურათი „სხვისი ნათესავები“, რომელიც შექმნილია ვ. ტენდრიაკოვის ცნობილი მოთხრობის „არ მოსწონთ“ მიხედვით. დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა რეჟისორს მ. შვეიცერს. მთავარი როლები შეასრულეს მსახიობებმა ნ. რიბნიკოვმა, ნ. მორდიუკოვამ, ა. დენისოვამ, ნ. სერგეევმა და სხვებმა.

მეორე ფილმია კინოკომედია „მაქსიმე პერეპელიცა“ (სცენარი ი. სტადნიუკისა). ეს მხიარული და საგულისხმო ამბავია ახალგაზრდა უკრაინელი ჭაბუკის მაქსიმე პერეპელიცას შესახებ, რომელიც სოფელში პირველი ლაზღანდარა და ოინბაზი იყო, ხოლო საბჭოთა არმიის რიგებში ნამდვილი ჯარისკაცი გახდა. სურათში მთავარ როლს ასრულებს მსახიობი ლ. ბიკოვი.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ 3 იანვარს ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში მოაწყო ახალი ფილმების საზოგადოებრივი განხილვა. (საკადესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

დეპუტატ მ. ი. კუჭავას სიტყვა

(ხოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა, რომლის უმნიშვნელოვანესი პრინციპები შეიმუშავა ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, ბრძნული, ერთადერთი სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული საგარეო პოლიტიკაა, ყველა ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობის პოლიტიკაა. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა სავსებით შეესაბამება არა მარტო საბჭოთა ადამიანების, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებსა და მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ მას იწონებს და მხარს უჭერს მილიონობით უბრალო ადამიანი.

უკანასკნელ ხანს სსრ კავშირში სტუმრად იყვნენ მთელი რიგი უცხო ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციები და თვალსაჩინო მოღვაწეები, ბევრ ქვეყანაში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციები. მაგრამ, ეჭველია, ყველაზე დიდი, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ნერუს ვიზიტს საბჭოთა კავშირში, ამხანაგების ხრუშჩოვისა და ბულგანინის მოგზაურობას ინდოეთში, ბირმის კავშირსა და ავღანეთში.

საბჭოთა ხალხი ცნობილია თავისი სტუმართმოყვარეობით. ჩვენ დიდი გულითადობით შევხვდით ბატონ ნერუს, გამოჩენილ მოღვაწეს, ინდოეთის მრავალმილიონიანი შესანიშნავი ხალხის წარმომადგენელს. ვლაპარაკობ რა ამ ვიზიტის მნიშვნელობაზე, მინდა მოვიყვანო თვით ბატონ ნერუს სიტყვები: „მე დავრწმუნდი, რომ საბჭოთა ხალხი განსაკუთრებით კეთილმოსურნე და სტუმართმოყვარე ხალხია. მისდამი მე დიდი სიმპათია ვიგრძენი, და ამიტომ, წამოსვლისას მე ვთქვი, რომ საბჭოთა კავშირში ჩემი გულის ნაწილს ვტოვებ. მე მწამს, რომ მეგობრობა ყოველთვის იწვევს მეგობრობას, და ამიტომ მეგობრობამ, რომელიც ჩვენს მიმართ საბჭოთა ხალხმა გამოიჩინა, მისდამი გულწრფელი სიმპათიის გრძნობა გამოიწვია“.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ ბატონმა ნერუმ კარგად გაიგო ინდოელი ხალხისადმი ჩვენი გულითადი მეგობრობის გრძნობები, რომლებსაც არ ეშინიათ არავითარი უმკაცრესი გამოცდისა.

ჩვენ მადლობელი ვართ ინდოეთის ხალხებისა იმ გულითადობისა და გულთბილობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ამხანაგებთან ხრუშჩოვთან და ბულგანინთან შეხვედრების დროს. ეს გრძნობები შესანიშნავად გამოხატულია სიტყვებით, რომლებითაც ინდოეთში სტუმრებს ხვდებოდნენ: „ინდოელები და რუსები ძმები არიან!“.

საბჭოთა ხელმძღვანელების ყოფნა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში, მათი მკაფიო, სიმართლით აღსავსე გამოსვლები, მთავრობათა მეთაურების ერთობლივი განცხადებანი, მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მიღწეული შეთანხმება სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთ პატივისცემისა და თანასწორობის ლენინური პრინციპების გამარჯვების ახალი დადასტურებაა.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სავსებით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას და ყველაფერს აკეთებენ, რათა გაადიდონ თავიანთი წვლილი ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომ განმტკიცებაში.

წლითიწლობით იზრდება რაოდენობა უცხოეთის დელეგაციებისა, რომლებიც საბჭოთა საქართველოში ჩამოდიან. წელს ჩვენში იყო 100 დელეგაცია — 49 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის 7 საპარლამენტო დელეგაცია. საქართველოში იყვნენ ბატონი ნერუ, გერჰარდსენი, საპარლამენტთაშორისო კავშირის თავმჯდომარე ლორდი სტეინსგეიტი და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

საქართველოს სსრ მშრომელები, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელები, უცხოეთის ყველა დელეგაციას სრულ შესაძლებლობას აძლევენ ახლოს გაეცნონ ქართველი ხალხის ყოველდღიურ შრომას, ყოფას, მთელ ცხოვრებას, შესანიშნავ მიღწევებს ჩვენი სახალხო მეურნეობისა და ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ყოველ პატიოსან ადამიანს, მიუხედავად მისი პოლიტიკური რწმენისა, როცა იგი ნახავს თბილისის ფაბრიკებსა და ქარხნებს და კახეთის ვენახებს, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს და მილიონერ კოლმეურნეობებს, ჭიათურის მაღაროებს და შესანიშნავ კურორტებსა და ჯანმრთელობის კერებს, ხოლო რაც მთავარია, როცა იგი გაეცნობა ჩვენი ადამიანების ცხოვრებას, არ შეუძლია არ აღიაროს ის სიკეთენი, რაც მშრომელ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა.

სსრ კავშირის ხალხებს მხურვალედ სურთ მშვიდობა. მათ არა აქვთ მტრული გრძნობები ან რაიმე პრეტენზიები სხვა ერებისადმი. საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად, საქმით ადასტურებდა მეგობრულ გრძნობებს თურქეთისა და ირანის ხალხებისადმი, და ეს კარგად არის ცნობილი მთელი მსოფლიოსათვის. მაგრამ თურქეთი, ხოლო მის შემდეგ ირანიც შევიდნენ აგრესიულ სამხედრო ბლოკში. თურქეთისა და ირანის ხელმძღვანელი წრეები ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ მათი შეერთება ბაღდადის პაქტთან მიმართულია მათი ჩრდილოეთელი მეზობლის — სსრ კავშირის წინააღმდეგ, რომ ამ აგრესიულ კავშირს შეიძლება არასასურველი შედეგები მოჰყვეს თვით ამ ქვეყნებისთვისაც. ბაღდადის პაქტი — ეს ხომ ერთ-ერთი უკანასკნელი იმედია იმ წრეებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ თავს ახლო და შუა აღმოსავლეთში. აკოწიწებენ რა აგრესიულ კავშირს, კოლონიზატორები ცდილობენ ხელი შეუშალონ აზიის ხალხებს საბოლოოდ და სამუდამოდ განთავისუფლდნენ კოლონიალიზმის ბორკილისაგან, თავისუფლად მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი საქმეები.

აგრესორები ცდილობენ ამ აგრესიული კავშირის მონაწილე ქვეყნების ხალხებს, აგრეთვე სხვა ხალხებს დაუმალონ მისი ნამდვილი ხასიათი. მაგრამ შეუძლებელია დუმალო სამართლე ხალხებს. აზიის ქვეყნების მშრომელებს ესმით, რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს აგრესიულ კავშირებში მონაწილეობას. სწორედ ამიტომ არაბთა მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს აგრესიულ კავშირებში მონაწილეობაზე და გმობენ ბლოკებს, რომლებსაც იმპერიალისტური წრეები ახლო და შუა აღმოსავლეთში ქმნიან. ეს მოწმობს აზიის ქვეყნების მშრომელი ადამიანების, მთელი პროგრესული და პატრიოტული ძალების მზარდ აქტივობას.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ადამიანები, ასრულებენ რა დიდი ლენინის ანდერძს, მუდამ არიან მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში. ქვეყნებს შორის საპარლამენტო დელეგაციების გაცვლის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის განხორციელების პირველი შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ნაყოფიერებას. საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა ხელს უწყობს იმ უაზრო ზღაპრის მოსპობას, რომ ჩვენს ქვეყანაში თითქოს „რკინის ფარდა“ არსებობდეს, ზღაპრისა, რომელსაც ასე გულმოდგინედ იმეორებენ „ძალის პოზიციის“ ყბადაღებული პოლიტიკის შუბლმაგარი მომხრეები.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს შორის სულიერი და მატერიალური ფასეულობების სულ უფრო ფართოდ გაცვლის ინტერესებისათვის საბჭოთა კავშირი განაგრძობს როგორც საპარლამენტო, ისე სხვა დელეგაციების ფართოდ გაცვლას და ამით ხელს შეუწყობს ხალხებს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, მშვიდობიანი თანაარსებობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების პრინციპის განხორციელებას. (ტაში).



ბოლო. ახლახან საკონსერვო ქარხანასთან გაიხსნა და მუშაობას შეუდგა ხორცის საკონსერვო საამქრო. სურათზე: მოწინავე მუშა ვ. ბულბულაშვილი (წინა პლანზე), რომელიც პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებს 180-200 პროცენტით ასრულებს.

ფოტო შ. გოჭაძისა.

★

აღმოსავლური ტკბილეული

ფართო ასორტამენტის საკონდიტრო ნაწარმს ამზადებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კვების სამეწველო კომბინატის საკონდიტრო საწარმო. აქ დიდი რაოდენობით მზადდება აღმოსავლური ტკბილეული — სხვადასხვანაირი ხალვა, მოხალული ნუში, გოზინაყი, შაქარყინული, შაქარნაბადი, შაქარლუხუმი, აგრეთვე ნამცხვარი, ტორტი.

კომბინატი, გარდა ამისა, უშვებს ლიმონათს, ციტრუსების ნაყენს — ნედლ ბასალს ლიმონათის წარმოებისათვის, ციტრუსების რამდენიმე სახის არომატულ ძმარს და სხვ. გასულ წელს აქ გამოშვებულ იქნა 15 მილიონი მანეთის პროდუქცია.

გასული წლის დამლევს კომბინატმა აითვისა მშრალი საკისელე ფხვნილის გამოშვება შაქრითა და უშაქროდ. დღემდე უკვე გამოშვებული 2 ტონამდე ასეთი ფხვნილი.

განხორციელებულია საკონდიტრო წარმოების უფროსი სპეციალისტის შ. გოცირიძის რაციონალიზატორული წინადადება ვაშლის დაჩირვის ნარჩენებისაგან პიურეს დასამზადებლად. უკვე დამზადებულია 4 ტონამდე პიურე. წელს ეს საქმე კიდევ უფრო გაფართოვდება. შ. გოცირიძის წინადადების მიხედვით ხორცელდება მანდარინის გულისაგან მურაბა-ცუკატების გამოშვება.

კომბინატს განზრახული აქვს წელს შინდის წვენისაგან დაამზადოს ექსტრაქტები.

ბრძელვადიანი კრედიტები

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობები სახელმწიფოსაგან ყოველწლიურად დიდ გრძელვადიან კრედიტებს იღებენ. მარტო 1955 წელს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ტყიბულის განყოფილებამ კოლმეურნეობებს 360 ათასი მანეთი მისცა.

კრედიტები ხმარდება საკოლმეურნეო ბოსლების, საღორეებისა და საქათმეების მშენებლობას, სოფლების ელექტროფიკაციას, მინერალური სასუქებისა და ჯიშიანი პირუტყვის შეძენას.

დიდი გრძელვადიანი სესხი მიიღეს სოფელ ჯოკის სტალინის სახელობის, ახალდაბის მოლოტოვის სახელობისა და ბუეთის კაგანოვიჩის სახელობის გამსხვილებულმა კოლმეურნეობებმა.

როცა კრიტიკას მტკივნეულად ეკიდებიან

ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის პრინციპული, სამართლიანი და ჯანსაღი უნდა იყოს. იგი უნდა ეხმარებოდეს ავტორს დროულად შეამჩნიოს ნაკლი თავის ნაწარმოებში, გამოასწოროს და შემდეგ, თუ საჭირო იქნა, ახალი სრულყოფილი წიგნით წარსდგეს მკითხველის წინაშე.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც მწვავედ განიცდიან პრინციპულ კრიტიკას, არ იღებენ სამართლიან მითითებებს, სტეხენ განგაშს, თავგამოდებით წერენ პასუხს და პასუხის პასუხს და, როგორც იტყვიან, „ბაღმა ედავებიან, რომ გამოღმა დარჩეთ“.

ყველასათვის ცხადია, დიდი პატრიოტული საქმე გააკეთა პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ, როცა ქართულ ენაზე თარგმნა ა. პუშკინის „ბოშები“ და „პოლტავა“.

კლასიკოსის და ისიც ა. პუშკინის ნაწარმოების თარგმნა მეტად საპატიო საქმეა, მოითხოვს დიდ ოსტატობას, ყურადღებას, დაკვირვებას. კონსტანტინე ჭიჭინაძეს ყველა ეს თვისება უთუოდ გააჩნია. ჟურნალ „მნათობში“ (№ 4, 1955 წ.) სამართლიანად წერენენ რეცენზენტები ა. ნეიმანი და ს. ჩხეკელი, რომ კ. ჭიჭინაძეს „რუსული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ქართულ ენაზე თარგმნის საქმეში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის“. ამდენად საკვირველი არ არის, თუ მკითხველი და ლიტერატურული კრიტიკა კ. ჭიჭინაძისაგან მოელოდა ა. პუშკინის „ბოშებისა“ და „პოლტავის“ კარგ თარგმანს.

„ბოშებისა“ და „პოლტავის“ ზემოაღნიშნულ თარგმანებში უთუოდ იგრძნობა ოსტატის ხელი და, როგორც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში თარგმანების განხილვის დროს კრიტიკოსებმა აღნიშნეს, ამ თარგმანებს აქვთ პოეტური ღირსება, მათში შენარჩუნებულია დედნის არსებითი მხატვრული თავისებურება, სწორად არის გახსნილი და გადმოცემული ნაწარმოებთა იდეური შინაარსი.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ თარგმანი უნაკლო იყოს. დოცენტებმა ა. ნეიმანმა და ს. ჩხენკელმა ორივე ნაწარმოების თარგმანზე თავიანთი აზრი გამოთქვეს ჟურნალ „მნათობში“. ისინი რეცენზიას იწყებენ თარგმანის ღირსებით, შემდეგ მოჰყავთ შემჩნეული არასიზუსტისა და ფაქტობრივი შეცდომების მაგალითები. ამ მაგალითებიდან ნაწილი სამართლიანია და პუშკინის ნაწარმოებთა შემდგომ გამოცემებში მათი გასწორება უეჭველად სარგებლობას მოუტანს მკითხველს.

მაგალითად, ხომ შეიძლება ახალ გამოცემაში პუშკინის ტექსტი

„Но все так живо-непокойно,
Так чуждо мертвых наших нег,
Так чуждо этой жизни праздной,
Как песнь рабов, однообразной“.

ქართულად ასე არ იკითხებოდეს:

„მაგრამ სიჭარბე ცხოველ გრძნობისა
სისხლს ახმაურებს, ძარღვებსა სჭიმავს,
და ჩვენი მკვდარი ცხოვრების დღენი,
ნებივრობა და სიზანტე ჩვენი
არ გვაგონებენ არაფრით იმას“.

ხომ იგრძნობა, რომ თარგმანი დაშორებულია დედანს და საჭიროა მისი დახვეწა.

ავიღოთ მეორე მაგალითი. ა. პუშკინის სიტყვები:

„Донос на гетмана злодея
Царю Петру от Кочубея“

თარგმნილია ასე: „მას პეტრე მეფეს მიართმევს ხელში... თოკს წაუჭერენ მაზეპას ყელში!“

განა ცუდი იქნებოდა, თუ შემდგომ გამოცემებში ამ შეუსაბამობას კ. ჭიჭინაძე გამოასწორებდა?

ან რატომ უნდა შეედავოს მთარგმნელი რეცენზენტებს, როცა ისინი მოითხოვენ Коршун ქართულად ძერად უნდა ითარგმნოსო. ცხადია, არგუმენტი, რომელსაც ამჯერად კ. ჭიჭინაძე გვთავაზობს, უსაფუძვლოა. იგი უპასუხებს რეცენზენტებს: „Коршун ძერა არისო. ვიცით, მაგრამ ქართული გაზრდილი აქ უმჯობესია მაზეპა ქორს შევადაროთ. ძერა მტრედს ვერ დაიჭერს“.

სინამდვილეში ა. პუშკინი მიუთითებს არა მტრედის დაჭერაზე, ან „ფრენით წაყვანაზე“, როგორც ეს თარგმანშია, არამედ მაზეპას მიერ მტრედივით უმანკო მარიას ძერასავით დაკორტნაზე.

ამიტომ ა. პუშკინის სიტყვები „...голубку нашу ты, старый коршун, заклевал!“ არ ივარგებს, როცა ქართულად ასე იკითხება: „...შენ მტრედი ჩვენი, ბებერო ქორო, მიგყავდა ფრენით“.

კიდევ შეიძლებოდა მაგალითების მოყვანა, მაგრამ კმარა. ამის შესახებ ალბათ ითქვა და გვჯერა, რომ მთარგმნელი უთუოდ გაითვალისწინებს წიგნის ახალი გამოცემის დროს.

შეიძლება რეცენზენტების ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, წვრილმანადაც მოგვეჩვენოს. მაგრამ თუ მათი გასწორება ერთგვარად გააძლიერებს თარგმანის ღირსებას, რატომ არ უნდა მიიღოს მთარგმნელმა. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ კ. ჭიჭინაძეს, როცა იგი წერს: „მკლავით, ღონეთ (?), რაც შერითმულია სიტყვასთან „პოლონეთი“, მართალია, უნდა ვთქვათ „ღონით“ და არა „ღონეთი“, მაგრამ, ჩემი აზრით, ლექსში და ისიც რითმაში, არ შეიძლება საგანგაშო შეცდომად ჩაითვალოს ასეთი რამ“...

დიდი ცოდვა არც ის არის, რომ ლექსში ვიხმაროთ სიტყვები „სისხლსა მჩქეფს“ ან „სრულად უკრაინაში“, მაგრამ თუ მკითხველი მიგვითითებს მათი დაზუსტება უკეთესიაო, უნდა მივიღოთ. აქ სადავო და გასაკვირველი არაფერია.

გასაკვირველია რეცენზენტებისადმი კონსტანტინე ჭიჭინაძის პასუხის ტონი, რომელიც არსებითად შეუფერებელია საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკისათვის. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ პოეტი-მთარგმნელი რეცენზიაში აღნიშნულ არც ერთ შენიშვნას არ იღებს, მეტად უცნაურია მისი დასკვნითი სიტყვები: „ეს რეცენზენტები, დასასრულ, თავს ნებას აძლევენ განაცხადონ: „ა. პუშკინის ორი პოემის ქართულ თარგმანს საფუძვლიანი გადამუშავება ესაჭიროებაო“. მე კი ბევრად უფრო მეტი უფლებით შემიძლია ასეთი კონტრწინადადება წამოვაყენო: აუცილებლად საჭიროა, რომ ზოგიერთი დოცენტის მეცნიერული ხარისხის საფუძვლიანობა შემოწმდეს“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. კ. ჭიჭინაძეს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული რეცენზიის გამო არავითარი საფუძველი და უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა „ზოგიერთი დოცენტის მეცნიერული ხარისხის საფუძვლიანობის“ შემოწმება. ეს მხოლოდ იაფფასიანი ეფექტისათვის არის შეთხზული. საერთოდ კ. ჭიჭინაძე კრიტიკას მტკივნეულად რომ იღებს და უყვარს რეცენზენტებისათვის პასუხისა და პასუხის პასუხის წერა, დიდი ხანია ცნობილია. საკვირველი ის არის, რატომ დაუთმო „ლიტერატურული გაზეთის“ სარედაქციო კოლეგიამ ტრიბუნა კრიტიკით განაწყენებულ კ. ჭიჭინაძეს რეცენზენტებთან პირადი ანგარიშის გასასწორებლად.

დეპუტატ ნ. ი. მუსხელიშვილის სიტყვა

(ფოთის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ასახავს ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის მძლავრ ზრდას და კულტურული მშენებლობის განუხრელ აღმავლობას, მოწმობს საბჭოთა ხალხის დიდ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, განუხრელად ახორციელებენ რა ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, იჩენენ უდიდეს მზრუნველობას ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში კულტურის განვითარებისათვის. ამ მზრუნველობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს საქართველო, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ფართოდ განვითარდა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის სულ სხვადასხვა დარგები, სადაც ჭეშმარიტ აყვავებას მიაღწია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა კულტურამ, რომელიც სწრაფად ვითარდება ახალ, სოციალისტურ საფუძველზე.

ამჟამად საქართველოში 146 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, სადაც 2,5 ათასზე მეტი მეცნიერი თანამშრომელი მუშაობს, 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებმაც მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში გამოუშვეს ცოდნის სულ სხვადასხვა დარგის 10 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი.

რესპუბლიკაში მეცნიერული აზრის ნამდვილი ცენტრი გახდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 1941 წელს შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბაზაზე.

განვლილი წელი ხასიათდება ახალი შემოქმედებითი აღმავლობით სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობაში: წარმოებასთან მეცნიერების დაახლოებით, ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში უფრო ეფექტიანი მონაწილეობით. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით ფართოდ ჩაღდება მუშაობა წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დასანერგავად, სამრეწველო საწარმოებისათვის დახმარების გასაწევად.

მინდა შევჩერდე ზოგიერთ, ფრიად აქტუალურ საკითხზე, რომლებიც მეცნიერული კადრების მომზადებას ეხება. საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს მეცნიერთა, მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის სპეციალისტთა შესანიშნავი კადრებით. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გაცილებით უფრო სწრაფად ვიაროთ წინ, აღმოფხვრილი რომ იყოს ზოგიერთი არსებითი ნაკლოვანებანი მეცნიერული კადრების მომზადებაში.

ამჟამად არსებული სისტემა სავსებით ამართლებდა თავის დანიშნულებას რამდენიმე ხნის წინათ, როცა საჭირო იყო დაჩქარებული ტემპებით მოგვემზადებინა უამრავი სპეციალისტი. ახლა ჩვენი ხალხი თავისი კულტურული დონით ის აღარ არის, რაც 20 ან 30 წლის წინათ იყო. საბჭოთა საშუალო სკოლა უფრო მომზადებულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს უშვებს. ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების მეთოდებიც შესაბამისად უნდა შეიცვალოს: თანამედროვე პირობებთან უფრო შეგუებული უნდა გახდეს.

ჩვენი სტუდენტები მეტისმეტად დატვირთული არიან სავალდებულო ლექციებით. ეს აჩვევს მათ მიწოდებული ცოდნის პასიურად აღქმას, ახშობს ახალგაზრდობის შემოქმედებითს ინიციატივას. სტუდენტების გადატვირთვას თან სდევს მასწავლებელთა შემადგენლობის გადატვირთვა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მისი პროდუქტიული მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობებს, ხელს უშლის სრულფასოვანი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების შექმნას, რომლებთაც ძირითადად უნდა სწავლობდნენ სტუდენტები. სავალდებულო ლექციების რიცხვი მკვეთრად უნდა შემცირდეს, რომ სტუდენტებს მეტი დრო ჰქონდეთ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისათვის. ამავე დროს უნდა გაძლიერდეს მოთხოვნები სტუდენტთა ცოდნის შემოწმებისას.

მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადება ძირითადად ასპირანტურის მეშვეობით ხდება. ამ სისტემამ საერთოდ გაამართლა თავისი დანიშნულება. მაგრამ დადგა დრო გადავსინჯოთ ამჟამად მოქმედი დებულებები და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული ტრადიციები. საქმე ის არის, რომ საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება და დისერტაციის დაწერა ზოგჯერ თვითმიზნად იქცევა. ამასთან ზოგჯერ მიდრეკილება აქვთ ასპირანტსა და მის მეცნიერ ხელმძღვანელზე იმსჯელონ იმის მიხედვით, თუ რამდენად ზუსტად დაიცვა ასპირანტმა დისერტაციის მომზადების დაწესებული ვადა. ხოლო დისერტაცია უნდა იყოს არა თვითმიზანი, არამედ გარკვეული, სასარგებლო, მეცნიერული მუშაობის ბუნებრივი დამთავრება, რაც აუცილებლად როდი უნდა იყოს დაკავშირებული რაიმე ვადასთან, თუ ეს საქმის არსიდან არ გამომდინარეობს.

დისერტაცია ზოგჯერ თვითმიზნად რომ მიაჩნიათ, ამას დოქტორანტურის (სადოქტორო ასპირანტურის) პრაქტიკაც მოწმობს. განა სწორია, როცა, მაგალითად, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს თავის მიმდინარე სამეცნიერო მუშაობას სწყვეტენ სადოქტორო დისერტაციის დაწერის სპეციალური მიზნით? თითქოს ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობა ერთია, დისერტაციაზე მუშაობა კი სულ სხვა რამ. დოქტორანტურა რამდენადმე ამართლებს თავის დანიშნულებას უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებისათვის, ათავისუფლებს რა მათ პედაგოგიური დატვირთვისაგან.

საჭიროა უმაღლესი განათლების საქმინისტრო და სხვა უწყებები უახლოეს ხანში უშუალოდ შეუდგნენ მეცნიერული კადრების მომზადების გაუმჯობესების საქმეზე მუშაობას, ამ საკითხის გადასაწყვეტად მოიზიდონ ჩვენი ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, სავსებით უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ზრდას, ჩვენი დიდი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასაყრდენის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებთან ერთად მთელი ძალღონით დაიცავს ხალხთა შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგების კეთილშობილურ იდეას, რომელიც ესოდენ მკაფიოდ გამოიხატა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული მოგზაურობის დროს. (ტაში).

მკვეთრად გავადიდოთ რძის წარმოება

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა გასულ სამეურნეო წელს პირველი წარმატებები მოიპოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. 1953-1954 სამეურნეო წელთან შედარებით რძის საერთო წარმოება 55 პროცენტით გაადიდეს.

ამ მხრივ კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობის გეგმა 145,7 პროცენტით შეასრულეს, ხოლო რძის საერთო წარმოებისა—125,2 პროცენტით. წველადობის გეგმები აგრეთვე გადაჭარბებით გაანაღდეს გურჯაანის, მახარაძის, ყაზბეგის, გარდაბნის, ახმეტის, სიღნაღის, თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებმა.

საქართველოს მწველავთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ საუკეთესო მწველავის“ სპატიო წოდება. მათ რიცხვში არიან თბილისის გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ნ. ქაჯაია, ბათუმის რაიონის სოფელ განთიადის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ო. გორგილაძეა, დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მწველავები მ. სეთურიძე, თ. ქუმსიშვილი, მესტიის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავები ნ. მარგიანი, გ. ხერგიანი, ლ. ფალიანი, გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი გ. გაბიტაშვილი და სხვები.

ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, მთელი რიგი რაიონები (დუშეთი, ბორჯომი და აფხაზეთის ასსრ) რძის წარმოების გადიდების გეგმების შესრულებაში ჩამორჩნენ. ზოგან რძის წარმოება გადიდდის ნაცვლად შეამცირეს. ეს უწიხარეს ყოველისა ითქმის მარნეულის რაიონის სოფელ ყუდროს შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაზე, რომელმაც გასულ სამეურნეო წელს 1953-1954 წელთან შედარებით 5.456 კილოგრამით შემაცირა წველადობა. სოფელ ყიზილ-აჯლოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში წველადობა 4.255 კილოგრამით შემცირდა.

რძის წარმოების გადიდების გეგმების შეუსრულებლობა ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის გაშლილი სათანადო მუშაობა ძროხების სულადობის ზრდის დარგში დაგალებათა განაღდებისათვის. უფრო მეტიც. მთელ რიგ რაიონებში აღვილი აქვს ძროხების სულადობის შემცირებას.

ძროხების სულადობის დიდი შემცირება დაუშვეს დუშეთის, წალკის, ახალქალაქის, ვანის, ხობის, ხაშურის, სიღნაღის, ახმეტის რაიონებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ.

ძროხების სულადობის გადიდების ღონისძიებათა განხორციელებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა მკაცრი კონტროლი დავაწესოთ ძროხების გამოწუნების საქმისადმი და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ საყოლად ვარგისი ძროხების გაყვანა მეურნეობებიდან იმ საბაბით, რომ ისინი თითქოს დაბალპროდუქტიული იყვნენ.

თვითეულ კოლმეურნეობაში უნდა გამოვარკვიოთ უშობლების რაოდენობა და ყველა ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ ყველგან იმდენი უშობელი ვიყოლიოთ, რამდენიც საჭიროა ძროხების სულადობის გადიდებისათვის, ზოგან კი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, შევისყიდოთ ჯიშიანი დეკეულები და უშობლები.

დიდი მნიშვნელობა აქვს 1955 წელს მიღებული ნამატიდან საფურე ხბოების საკმაო რაოდენობით გამოყოფას, მათს უკლებლივ შენარჩუნებას და სრულად გადარიცხვას ძროხების ჯგუფში.

წესრიგი უნდა დავამყაროთ ძროხების დაგრილების ორგანიზაციაშიც. საჭიროა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ყველა ფერმა დავაკომპლექტოთ მაღალხარისხოვანი ბუღა-მწარმოებლებით, ამასთან სრული დატვირთვით და რაციონალურად გამოვიყენოთ ოსინი ხელოვნური დათესლვისა და დაგრილების პუნქტებზე.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წელი ახალი მიღწევებით აღნიშნეს. 1955 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში 1954 წლის ამავე პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობებში რძის წარმოება გაიზარდა 5,2 ათასი ტონით, ანუ 74,3 პროცენტით, ხოლო ძროხების საშუალო წველადობა ერთ სულზე—29 კილოგრამით (69 პროცენტით).

რძის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა წითელწყაროს, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, გორის, გარეუბნის, სამგორეჯოს, სიღნაღის, ზუგდიდის, ყვარლის, თეთრი წყაროს და გალის რაიონების კოლმეურნეობებში.

ოქტომბერ-ნოემბერში წველადობის მაქსიმალური მაჩვენებლები ჰ

წერილები რედაქციას

ინერგება რაციონალიზაციური წინადადებები

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საამქროებს შორის ლითონსამსხმელო საამქროს კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა 1955 წელი და მტკიცედ დაიკავა საქარხნო პირველი ადგილი.

ეს წარმატებები მოპოვებულია უმთავრესად ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის გაბედულად გაშლის შედეგად. ამან ხელი შეუწყო ლითონსმსხმელებს პარტიის XX ყრილობისათვის ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებაში.

ფოლადის მდნობელმა ს. ბეკოშვილმა იკისრა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად განეხორციელებინა ფოლადის ჩქაროსნული დნობა. ეს ვალდებულება მან პირნათლად შეასრულა, ცვლაში სამი დნობის ნაცვლად ახლა ოთხს ახორციელებს. ჩქაროსნული დნობისათვის წინასწარ და გულდასმით ამზადებს ელექტროღუმელს, იყენებს ე. წ. გაბარიტულ კაზმს, მუდამ კარგად გამართული აქვს სადნობი ღუმელის მექანიზმები და ზუსტად იცავს ფოლადის დნობის და ჩამოსხმის ტექნოლოგიურ რეჟიმს. ამით საგრძნობლად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და ცვლაში მიიღო 25 პროცენტით მეტი ფოლადი. ს. ბეკოშვილმა დნობის ჩქაროსნული მეთოდი შეასწავლა ცვლის მეფოლადეებს ზ. მიქაძეს და გ. აბზიანიძეს, რომლებიც ახლა დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს.

რაციონალიზატორმა, კომკავშირელმა მეყალბე ილია ბალხამიშვილმა განახორციელა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლე. მისი წინადადებით დამზადდა ზოგიერთი დეტალის ალუმინის მოდელები (ეს დეტალები დიდი რაოდენობით არის საჭირო), რაც დიდხანს ძლებს და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

ახალგაზრდა ინჟინერმა ზ. მარდალეიშვილმა რამდენიმე ახალი რაციონალიზატორული წინადადება დანერგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ განხორციელებული ტექნიკური ხასიათის გაუმჯობესება ელექტროღუმელის თაღის დასადგამ ნაწილში, რაც გვაძლევს საელექტროდო გრაფიტისა და ნახშირის დიდ ეკონომიას.

სადნობი განყოფილების უფროსმა ა. ლომთაძემ შემოიღო თუჯის ბურბუშელისა და ლითონის წვრილი ნარჩენების დნობა ბოვში, რაც დიდ ეკონომიას გვაძლევს.

რაციონალიზატორული მუშაობის გაქანებამ გამოიწვია საერთო აღმავლობა, სოციალისტურ შეჯიბრებაში „ახალი ადამიანების დაწინაურება. მუშაობის უკეთესად მოწყობისა და რაციონალიზატორულ ღონისძიებათა დანერგვის შედეგად დაწინაურდნენ თუჯის მსხმელები: შ. ბინიაშვილი, შ. სულუხია, რ. ციბაძე, ი. აბზიანიძე, უ. ანდრიაძე, მეყალიბეები: გ. ბურჯულაძე, რ. კიკვაძე, გ. მოწონელიძე, გ. ლეჟავა, ფერადი ლითონის მსხმელები: ა. სლესარენკო და ი. სოლოვიოვი. შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა და ახლა ყოველდღიურ საწარმოო დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ უბნებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები: ა. ფანცულაია, ჟ. მეტრეველი, ტ. გუბელაძე, ა. შერასოვი, უ. კილაძე, ვ. ნიქაბაძე და ა. კვანტალიანი. საამქროს კოლექტივი წარმატებით მუშაობს ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ლითონის გამოშვების დავალებებს.

საამქროს ხელმძღვანელობამ ახალი წლის წინ დაამუშავა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები მუშაობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. ამ ღონისძიებათა შორის დიდი ადგილი აქვს დათმობილი მასების შემოქმედებითს ინიციატივას, რაციონალიზატორულ წინადადებათა გაბედულად დანერგვას, რაც 1956 წლის დავალებათა პირნათლად განაღდების მტკიცე საწინდარია.

ა. ბერუჩევი,
ინჟინერი.

ახალი საკოსტიუმე ქსოვილების გამოსაშვებად

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო 1956 წლის საწარმოო დავალებათა შესრულება. 1956 წლისათვის კომბინატს საგრძნობლად გადიდებული საწარმოო გეგმა აქვს. ფეიქრებს გადაწყვეტილი აქვთ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად აითვისონ ორი ახალი ასორტიმენტის არტიკულის ქსოვის ტექნოლოგია, მნიშვნელოვნად გაადიდონ მაღალხარისხოვანი საკოსტიუმე ქსოვილების გამოშვება.

წელს კომბინატის საწარმოები აღჭურვილი იქნებიან ახალი ტექნიკით. პერიოდული მოქმედების სართავი მანქანები შეიცვლება უწყვეტი მოქმედების მანქანებით, გამომყვან ფაბრიკაში უნდა გამართონ და აამუშაონ მრავალი ავტომატური მანქანა, აგრეთვე რამდენიმე ახალი ძაფსაგრეხი მექანიზმი.

წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქსოვილთა ხარისხის გაუმჯობესებას, ხალისიანი ფერებით შეღებვას.

გასულ წელს კომბინატის კოლექტივმა ნედლეულისა და დამხმარე მასალების დიდი ეკონომია გასწია. მომჭირნეობით დაგროვილი ნედლეულისაგან 1956 წლის 1 იანვრისათვის ფეიქრებმა მოქსოვეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 50.000-ზე მეტი მეტრი შალის ქსოვილი. იანვრის პირველ დღეებშიც ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ბრძოლა არ შენელებულა.

ახალი სამეურნეო წლის ეს პირველი დღეები აღინიშნა ორი სახის ახალი საკოსტიუმე ქსოვილის ათვისებისათვის მზადების დაწყებით.

ა. დანელია,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი.

მივხედოთ ი. გოგებაშვილის სახლს

დიდ ქართველ პედაგოგს ი. ს. გოგებაშვილს თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის განვითარების საქმეში. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი ერთგულად იბრძოდა ქართული ენის სიწმინდისათვის, ავითარებდა, წინ სწევდა და იცავდა მოწინავე პედაგოგიურ აზროვნებას. მის უბადლო სახელმძღვანელოებზე იზრდებოდნენ ქართველი ახალგაზრდობის თაობები.

გოგებაშვილის მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მის სახელს ატარებს რამდენიმე სასწავლებელი, მშობლიური სოფლის ვარიანის კოლმეურნეობა. გასულ წელს ვარიანში მისი სახელობის საშუალო სკოლას გადაეცა დიდი, ნათელი და კეთილმოწყობილი სასკოლო შენობა. მანამდე სკოლა მოთავსებული იყო დიდი პედაგოგის ბინაში, რომელიც მან თვითონვე გადასცა ვარიანელ ბავშვებს. ახლა ეს ბინა გამოკეტილია.

გორის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა დიდი ხანია დააყენა გამოჩენილი პედაგოგის სახლ-მუზეუმის გახსნის საკითხი. ეს სიძნელეს არ წარმოადგენს: არის გოგებაშვილის ბინა, მისი ნაქონი ავეჯი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საკითხის გადაწყვეტა ჭიანურდება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ და პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ გოგებაშვილის ბინის შეკეთების, დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის, სახლ-მუზეუმის გახსნისათვის.

ა. ჩხეიძე,
გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ერთი რაიონის ავკარგი“

მშრომელთა დეპუტატების შუახევის რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა „კომუნისტის“ 14 ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული წერილი, კრიტიკა სწორად ცნო და მხიერებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახა ღონისძიებანი. რაისაბჭოს აღმასკომმა წინადადება მისცა კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგეს ა. მაკარაძეს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს საცხოვრებელი ბინების შეკეთება, რაიონული ცენტრის ეზოებისა და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების დასუფთავება.

რაისაბჭოს აღმასკომმა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს მ. ფუტკარაძეს და მის მოადგილეს მ. ტარიელაძეს გამოუცხადა საყვედური.

„უყურადღებოდ მიტოვებული მუზეუმი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 10 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო სახალხო განათლების მუზეუმის მუშაობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში მხილებული ფაქტები დადასტურდა. სამინისტრომ შეამოწმა სახალხო განათლების მუზეუმის მუშაობა, შედეგი განიხილა კოლეგიამ და მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახა ღონისძიებანი. სუსტი მუშაობისათვის მუზეუმის დირექტორი ა. შენგირაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

ბიბლიოთეკა ახალ შენობაში

უნივერსიტეტის ქუჩაზე (№ 24) ახალ კეთილმოწყობილ ბინაში მუშაობა განაახლა თბილისის ა. წერეთლის სახელობის მახობრივმა ბიბლიოთეკამ. ბიბლიოთეკას დიდძალი პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური ლიტერატურა აქვს. მისი წიგნის ფონდი 40.000 ეგზემპლარს შეადგენს.

კარგად არის მოწყობილი ბიბლიოთეკის საკითხავი და სამუშაო დარბაზი. მკითხველებისათვის შექმნილია ყველა პირობა ნორმალური მეცადინეობისათვის. თვითეულ მაგიდაზე სალამოობით მუშაობისათვის დადგმულია ლამპები. კარგად არის მოწყობილი აგრეთვე წიგნსაცავი, სააბონემენტო ოთახები და სხვა დარბაზები.

3 იანვარს მოხდა ბიბლიოთეკის საზეიმო გახსნა, რასაც ასობით მკითხველი დაეხწრო.

სურათზე: სამკითხველო დარბაზში.

ფოტო შ. გოქაძისა.

შეხვედრა მწერალ ანა ანტონოვსკაიასთან

ცნობილი საბჭოთა პროზაიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი ანა ანტონოვსკაია, ავტორი შესანიშნავი ეპოპეადა „გიორგი სააკაძე“, და მწერალი ბორის ჩერნი ამას წინათ ეწვივნენ თბილისს. მათ ერთხელ კიდევ მოინახულეს აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ადგილები „გიორგი სააკაძის“ მეეკვსე წიგნის დამთავრებასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ჩვენი საშობლოს მრავალ მკითხველში დიდი სიყვარული დაიმახსურა ა. ანტონოვსკაიას რომანმა. გამოცემულია ეპოპეის ოთხი წიგნი. მალე გამოვა მეხუთე წიგნი. ამჟამად ავტორი ამთავრებს მუშაობას უკანასკნელ, მეეკვსე წიგნზე.

ამ დღეებში საქართველოს საბჭოთა მწერლებმა შეხვედრა მოუწყეს ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩერნის. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა და „გიორგი სააკაძის“ ავტორს ქართველი მწერლების სახელით მიესალმა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ს. ჭილაია.

ა. ანტონოვსკაიას დიდი და შესანიშნავი ეპოპეა „გიორგი სააკაძე“, — თქვა ბ. ეფენტმა, — ასახავს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდს. რომანში ისტორიული მასალებით მდიდარ ფონზე ავტორი იძლევა პროგრესული ძალების ბრძოლას რეაქციული ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ნაწარმოების მთავარი ღირსებაა ხალხის როლის, ხალხის დიდი ძალის სიმართლით ჩვენება. რომანის ყველა წიგნი დაწერილია თანაბარი მაღალი ოსტატობით და ისტორიული მასალის ღრმა ცოდნით.

ა. ანტონოვსკაიას გულწრფელი მადლობის გრძნობით აღსავსე სიტყვებით მიმართეს ლ. ქიაჩელმა, გ. ქოქოძემ, ა. ბეიშვილმა, ა. ბელიაშვილმა, ვ. ტატიშვილმა, გ. თავზიშვილმა, მ. ზლატკინმა, ა. ჭუმბაძემ, ი. ჭავჭავაძემ და სხვ.

მწერლებმა სურვილი გამოთქვეს, რომ დაიწეროს მონოგრაფია ანა ანტონოვსკაიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მისი დაბადების 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით.

ა. ანტონოვსკაიამ თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა ქართველ მწერლებს გულთბილი შეხვედრისა და მაღალი შეფასებისათვის. მე, — თქვა მან, — დავიბადე და აღვზარდე საქართველოში. ქართველმა ხალხმა, მისმა სიყვარულმა, მისმა ღიმმა წარსულმა და აწმყომ მომცა ღრმა შთაგონება დამეწერა ეს დიდი ტილო. ნაწარმოების დაწერის ხანგრძლივ მანძილზე დახმარებას მიწევდნენ ქართველი მწერლები, მეცნიერები და ხალხი.

დახასრულ ბ. ჩერნიმ წაიკითხა საკუთარი ლექსები, რომლებიც შეტანილია რომანში.

თ. ანდღულაძე.

ლიტერატურა სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკურმა მეთოდკაბინეტმა გამოსცა და საკლუბო დაწესებულებებს დაუგზავნა შემდეგი მეთოდური ხასიათის ლიტერატურა: ი. უზნაძის — „სახვითი ხელოვნების წრის მუშაობის შესახებ საკლუბო დაწესებულებებში“, ი. თულაშვილის — „მისაბაძი შემოქმედებითი კოლექტივი“ (წიგნში აღწერილია ხულოს რაიონის კულტურის სახლის მუშაობის გამოცდილება), ვ. რობაქიძის — „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში“, ვ. გურგენიძის — „ლექციური პროპაგანდის ძირითადი საკითხები საკლუბო დაწესებულებებში“, ვ. მაისურაძის — „მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა საკლუბო დაწესებულებებში“, რ. კერესელიძის — „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა ყოველთვიური ორდღიანი სემინარების ორგანიზაცია და მეთოდიკა“.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობის [illegible]

„მ. ლაღიძე [illegible] ... ასეთი წარწერა როგორც ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ეს მოკლე წარწერა ლიმონათის მაღალი ხარისხის უტყუარი საბუთია.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ძმები მიტროფანე და მიხეილ ლაღიძეები უალკოჰოლო სასმელების მრეწველობაში მუშაობენ. 1884 წელს მიტროფანე ლაღიძემ მუშაობა დაიწყო ქუთაისში, კოკჩაშვილის ლიმონათის ქარხანაში. მალე აქვე დაიწყო მუშაობა მისმა უმცროსმა ძმამ მიხეილ ლაღიძემ. რამდენიმე წლის შემდეგ მათ უკვე საკუთარი წარმოება დააარსეს ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში. მიტროფანე ლაღიძე კარგად იცნობდა უალკოჰოლო სასმელების დამზადების ხერხებს როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ამავე დროს მან ბევრი რამ საკუთარი შეიტანა ლიმონათის დამზადების ტექნოლოგიაში. ამის შედეგად მისმა სასმელებმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. 1913 წელს მიტროფანე ლაღიძეს მიღებული აქვს დიდი ოქროს და ვერცხლის medლები პეტერბურგისა და ვენის საერთაშორისო გამოფენებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლაღიძეებმა ახალი ენერგიით და ხალისით განაგრძეს მუშაობა კვების მრეწველობის ერთხელვე არჩეულ თავის საყვარელ დარგში. მიტროფანე ლაღიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა რეცეპტურა უალკოჰოლო სასმელების გაუმჯობესებული წესით დამზადებისა, რამაც სანახევროდ შეამცირა ამ სასმელების დასამზადებლად საჭირო ძვირადღირებული და დეფიციტური ნედლეულის მოიხოვნილება და მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ხარისხი.

1930 წლიდან მიტროფანე ლაღიძე მუშაობს საქართველოს ლუდისა და ლიმონათის ტრესტის კონსულტანტად, ხოლო მიხეილ ლაღიძე — თბილისის ლიმონათის ქარხნის უფროს ოსტატად. თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში მათ მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი აღზარდეს. ისინი რამდენჯერმე იყვნენ მივლინებულნი მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ბაქოსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში, სადაც თავიანთი მდიდარი გამოცდილება გაუზიარეს და კონსულტაცია გაუწიეს ადგილობრივი უალკოჰოლო სასმელების მრეწველობის მუშაკებს.

საუკეთესო საწარმოო მიღწევებისათვის მიტროფანე და მიხეილ ლაღიძეებს მიღებული აქვთ მრავალი ჯილდო. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებით მიტროფანე ლაღიძის 85 წლის და მიხეილ ლაღიძის 80 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და კვების მრეწველობაში მათი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის აღსანიშნავად ისინი დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიპატიო სიგელებით.

სამეცნიერო სესია ბათუმის რევოლუციის მუზეუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). რევოლუციის მუზეუმში გაიმართა 1905-1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, სასწავლებლების ლექტორები და მასწავლებლები, აგრეთვე პროპაგანდისტები, პარტორგანიზაციების მდივნები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა მუზეუმის დირექტორმა ვ. შარაშიძემ. მოსმენილ იქნა მუზეუმის მეცნიერი მუშაკების შემდეგი მოხსენებები: ტ. ბარათაშვილისა — „ქალაქ ბათუმის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა 1905-1907 წლებში“, ე. ბობოხიძისა — „1905 წლის 9 იანვრის ამბების გამოხმაურება ქ. ბათუმში“, ტ. წუწუნავასი — „აჭარის გლეხთა მონაწილეობა 1905-1907 წლების რევოლუციაში“.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბათუმში მომხდარ რევოლუციურ ამბებზე მოგონებებით გამოვიდნენ ძველი რევოლუციონერები გ. კომახიძე, კ. კარპოვი, ფ. ცქვიტინიძე, ი. დარახველიძე და მ. მგელაძე.

აღზრდის თემაზე

ავამაღლოთ მშობელთა პასუხისმგებლობა

ბ. კიზირია,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

ჩვენი სკოლები მიმდინარე სასწავლო წლიდან გადავიდნენ ახალ სასწავლო გეგმასა და პროგრამებზე. მზადდება ახალი სახელმძღვანელოები. თვალსაჩინო ნაბიჯია გადადგმული პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებისათვის. დღითიდღე იზრდება იმ სკოლების რიცხვი, რომლებსაც საინმუშოდ აქვთ მოწყობილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები და სასკოლო სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო მომზადებასა და შრომითს აღზრდას იღებენ.

საბჭოთა სახელმწიფო არაფერს არ ზოგავს იმისათვის, რომ ყველა ბავშვი და მოზარდი სწავლობდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, წარმატებით ეუფლებოდეს მეცნიერებათა საფუძვლების მკვიდრ ცოდნას, ხდეს კულტურული, ზრდილობიანი, თავმდაბალი, თავდადებული და უანგარო მებრძოლი კომუნისტური პარტიისა და ჩვენი დიადი სამშობლოს საქმისათვის. ეს გარემოება საბჭოთა ოჯახს, მოსწავლეთა მშობლებს სრულებითაც არ ათავისუფლებს იმ დიდი პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მათ ბავშვის აღზრდაში ეკისრებათ.

საბჭოთა ოჯახი პირველი კერაა, სადაც ბავშვის — სათუთი არსების აღზრდას ეყრება მკვიდრი საძირკველი, სადაც სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა საიმედო დასაყრდენს პოულობს. ოჯახის აქტიური დახმარება სკოლისადმი საწინდარია ყოველი მოსწავლის წარმატებისა სწავლაში და კულტურულ ქცევაში, საწინდარია სკოლის ნაყოფიერი მუშაობისა.

მშობელი თვალყურს უნდა ადევნებდეს ბავშვის წარმატებას სწავლაში, მის მიერ სასწავლო მოვალეობის შესრულებას, რომ მოსწავლე არასაპატიო მიზეზით გაკვეთილს არ აცდენდეს, გაკვეთილზე არ იგვიანებდეს, საშინაო დავალებებს ყოველთვის წესიერად ასრულებდეს. მშობელი კონტროლს უნდა უწევდეს იმას, რომ მოსწავლე ცხადდებოდეს სკოლაში, ზარის დარეკვისთანავე შედიოდეს კლასში, იკავებდეს თავის ადგილს, ყურადღებით უსმენდეს მასწავლებელს და მოსწავლეთა პასუხებს, ზუსტად იწერდეს დღიურში და სხვა რვეულში დავალებას, იცოდეს თავისი სასწავლო მოვალეობანი. საჭირო შემთხვევაში მშობელმა მასწავლებელთან ერთად უნდა დასახოს და განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი.

ოჯახი დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ ბავშვი უყოყმანოდ ასრულებდეს სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის განკარგულებას, მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდეს დირექტორს, პედაგოგებს და სკოლის სხვა მუშაკებს.

ბევრი მშობელი ეცნობა პოლიტექნიკური სწავლების ამოცანებსა და მოთხოვნებს, უწევს სკოლას შესაძლო დახმარებას, გარდა ამისა, ოჯახში ბავშვს უქმნის სათანადო პირობებს, აბამს ოჯახურ საქმიანობაში.

თვითეული მშობელი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს მშობელთა კომიტეტის, პროფორგანიზაციის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში და ამით გაუწიოს სკოლას ქმედითი დახმარება მის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების შესრულებაში.

მოსწავლეთა მშობლების დიდი უმრავლესობა მთელი პასუხისმგებლობით და ყურადღებით ეპყრობა ბავშვს, მჭიდრო კავშირი აქვს სკოლასთან და მასწავლებელთან, დაინტერესებულია და თვალყურს ადევნებს ბავშვის წარმატებას და ყოფაქცევას, სკოლის დავალებათა ვადაზე და კარგად შესრულებას, მასწავლებლის რჩევითა და დარიგებით ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს.

მაგრამ არიან ისეთი მშობლებიც, რომლებიც იმ სკოლაში, სადაც მათი შვილი სწავლობს, არც კი მიდიან, ყურადღებას არ აქცევენ ბავშვის მიერ გაკვეთილების გაკეთებას, სკოლაში მოღმზადებლად გამოცხადებას, უყურადღებოდ ტოვებენ წარუმატებლობის ან ცუდი ქცევის შემთხვევას, სახლში არ უქმნიან სწავლისათვის ხელსაყრელ პირობებს. ასეთი მშობლები სკოლისა და მასწავლებლისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ბავშვზე ცუდ გავლენას ახდენენ, ზოგჯერ კი თავისი საქციელით არასწორ გზაზე აყენებენ მას.

ქ. თბილისის 58-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლის ზ. კაკაბაძის მამა ვარლამ კაკაბაძე, სკკპ წევრი, ინჟინერი, დაინტერესებული არ არის სწავლაში შვილის წარმატებით, მისი ყოფაქცევით. ზ. კაკაბაძე სწავლობს ცუდად, საშინაო დავალებებს არ ასრულებს, ხშირად აცდენს გაკვეთილებს და სხვ.

ამავე სკოლის XI კლასის მოსწავლის მიხეილ ნანეიშვილის მამა ლეო ივანესძე ნანეიშვილი, სკკპ წევრი, საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს თანამშრომელი, სკოლას სრულიად არ ეკარება. მიხეილი არ სწავლობს წესიერად, საშინაო დავალებებს არ ასრულებს, არღვევს წესრიგს, ხშირად იმყოფება ქუჩაში უსაქმოდ, ნიშნის დაწერის დროს ედავება მასწავლებლებს.

67-ე საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეების ზეფირა და როზა მანაშეროვების მამა შ. მანაშეროვი (მუშაობს № 106 პურის მაღაზიაში) არავითარ ყურადღებას არ აქცევს ბავშვებს, ხშირად ოჯახშიც არ მიდის. ბავშვები გაკვეთილებს აცდენენ, ცუდად იქცევიან, მამა კი სკოლას არ ეკარება.

ცუდად სწავლობენ და წესრიგს არღვევენ თბილისის მე-9 სამუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები შანიძე, გოლდინი, კალაძე. მათ ყოფაქცევაში ნიშანი 3 აქვთ, მშობლები კი ამით არ დაინტერესებულან.

იმ დიდი მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის, რაც ბავშვის მშობელს ეკისრება სკოლისათვის დახმარების გაწევის საქმეში, რა თქმა უნდა, ცალკეული მშობლების მუშაობა საკმარისი არ არის. საჭიროა მოსწავლეთა ყველა მშობლის ერთობლივი ღონისძიებანი. ამ საქმეს ემსახურება საბჭოთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობაში საკმაოდ ცნობილი ორგანიზაცია — მშობელთა კომიტეტი. მშობელთა კომიტეტების უმრავლესობა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ისინი სკოლას დიდ დახმარებას უწევენ.

მშობელთა კომიტეტი ფართო აქტივის მეშვეობით მჭიდროდ რაზმავს მოსწავლეთა მშობლებს და ფართო საზოგადოებრიობას, თვალსაჩინო დახმარებას უწევს სკოლას საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების, მოსწავლეთა მაღალი წარმატებისა და კულტურული ყოფაქცევისათვის ბრძოლაში. ამ მიზნით იგი ეხმარება სკოლას მშობელთა საკლასო და სასკოლო თათბირის, კონფერენციის, შშობელთათვის კონსულტაციის მოწყობის და სხვა საქმეში.

მთელ რიგ სკოლებში მშობელთა კომიტეტები პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობენ და თვალსაჩინო წარმატებასაც აღწევენ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლასთან არსებული მშობელთა კომიტეტი (თავმჯდომარე ამხ. ელენე კაკაბაძე, დიასახლისი) სერიოზულ მუშაობას ეწევა. კომიტეტი 65 წევრისაგან შედგება, მასთან შექმნილია აქტივი 120 კაცის შემადგენლობით.

სკოლის მიკრორაიონი ქუჩებისა და სახლების ნომრების მიხედვით განაწილებულია ცალკე უბნებად, სადაც მასწავლებლებთან ერთად შემაგრებული არიან მშობელთა კომიტეტის წევრები და აქტივისტები. ისინი თვეში ერთხელ მაინც ამოწმებენ უბანს და იღებენ ზომებს, რომ არც ერთი სასკოლო ასაკის მოზარდი არ დარჩეს სკოლის გარეთ, არც ერთი მოსწავლე არ ჩამოსცილდეს სკოლას.

მშობელთა კომიტეტი საჭირო ზეგავლენას ახდენს იმ მშობლებზე, რომლებიც არ მიდიან სკოლაში, ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი ბავშვების წარმატებისა და ყოფაქცევის მდგომარეობას. აქტივის მეშვეობით კომიტეტი ეხმარება მოსწავლეებს და მათს მშობლებს ოჯახში დღის რეჟიმის შესრულების საქმეში.

67-ე საშუალო სკოლა 1952 წლიდან ყოველწლიურად, ოქტომბრის დღესასწაულის წინა კვირას აწყობს მეხვედრას ამ სკოლის კურსდამთავრებულებთან. შეხვედრისათვის მზადება 1 სექტემბრიდან იწყება. ამ საქმეში მოსწავლეთა მშობლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ამ ღონისძიებამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

მშობელთა კომიტეტი ფართო აქტივის მეშვეობით ეხმარება სკოლას მოსწავლეთა დღიურების გამოყენების საქმეში, ამოწმებს მშობელთა ხელმოწერას და სხვ.

სკოლაში დაწესებულია მშობელთა მორიგეობა სკოლის ეზოში, ბუფეტში, დერეფანში, რაც ხელს უწყობს კულტურული ქცევის დანერგვას.

თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში კლასის ხელმძღვანელთან და მასწავლებელთან ერთად მშობელთა კომიტეტის წევრები და აქტივისტები მიჰყვებიან მოსწავლეებს. ამის შედეგად სკოლის მოსწავლეები სანაშაულო სკოლასთან არსებული მშობელთა კომიტეტი (თავმჯდომარე ამხ. ელენე კაკაბაძე, დიასახლისი) სერიოზულ მუშაობას ეწევა. კომიტეტი 65 წევრისაგან შედგება, მასთან შექმნილია აქტივი 120 კაცის შემადგენლობით.

სკოლის მიკრორაიონი ქუჩებისა და სახლების ნომრების მიხედვით განაწილებულია ცალკე უბნებად, სადაც მასწავლებლებთან ერთად შემაგრებული არიან მშობელთა კომიტეტის წევრები და აქტივისტები. ისინი თვეში ერთხელ მაინც ამოწმებენ უბანს და იღებენ ზომებს, რომ არც ერთი სასკოლო ასაკის მოზარდი არ დარჩეს სკოლის გარეთ, არც ერთი მოსწავლე არ ჩამოსცილდეს სკოლას.

მშობელთა კომიტეტი საჭირო ზეგავლენას ახდენს იმ მშობლებზე, რომლებიც არ მიდიან სკოლაში, ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი ბავშვების წარმატებისა და ყოფაქცევის მდგომარეობას. აქტივის მეშვეობით კომიტეტი ეხმარება მოსწავლეებს და მათს მშობლებს ოჯახში დღის რეჟიმის შესრულების საქმეში.

67-ე საშუალო სკოლა 1952 წლიდან ყოველწლიურად, ოქტომბრის დღესასწაულის წინა კვირას აწყობს მეხვედრას ამ სკოლის კურსდამთავრებულებთან. შეხვედრისათვის მზადება 1 სექტემბრიდან იწყება. ამ საქმეში მოსწავლეთა მშობლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ამ ღონისძიებამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

მშობელთა კომიტეტი ეხმარება სკოლას მოსწავლეთა დღიურების გამოყენების საქმეში, ამოწმებს მშობელთა ხელმოწერას და სხვ.

სკოლაში დაწესებულია მშობელთა მორიგეობა სკოლის ეზოში, ბუფეტში, დერეფანში, რაც ხელს უწყობს კულტურული ქცევის დანერგვას.

თოჯინების და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში კლასის ხელმძღვანელთან და მასწავლებელთან ერთად მშობელთა კომიტეტის წევრები და აქტივისტები მიჰყვებიან მოსწავლეებს. ამის შედეგად სკოლის მოსწავლეები სანაობებზე დასწრებისას წესრიგს არაუსოდეს არ არღვევენ.

სკოლა მშობელთა კომიტეტის დახმარებით აწყობს სასწავლო სახელოსნოს. მშობლებმა სკოლაში ბიიტანეს ხელსაწყო-იარაღები. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ეხმარება სკოლას სახელოსნოს მოწყობაში.

მშობელთა კომიტეტის დახმარებით ეწყობა მშობელთა საკლასო და სასკოლო კრებები, თათბირები, კონსულტაციები. ეს ღონისძიებანი კარგ ნაყოფს იძლევა სკოლის გარშემო მოსწავლეთა მშობლების დარაზმვის საქმეში.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მშობელთა კომიტეტები თბილისის 58-ე საშუალო სკოლასთან (თავმჯდომარე ამხ. ი. ბურდიაშვილი), მე-9 სკოლასთან (თავმჯდომარე ამხ. გოდინაშვილი), მე-20 სკოლასთან (თავმჯდომარე ამხ. ი. ქათამიძე), 34-ე სკოლასთან (თავმჯდომარე ამხ. კ. ალექსანიანი), 51-ე სკოლასთან (თავმჯდომარე ამხ. ნ. ურუშაძე), 55-ე სკოლასთან (თავმჯდომარე ამხ. ა. აფხაიძე) და სხვ. მშობელთა დახმარების შედეგად აღნიშნული სკოლების ს

შეთანხმება

სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამოქალაქო ავიაციის დარგში ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

1956 წლის 4 იანვარს მოსკოვში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს შორის ხელმოწერილია შეთანხმება სამოქალაქო ავიაციის დარგში ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებას ხელს აწერენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. კავეორონკოვი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს უფროსი გუან ქენ-ნინი.

შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს უფროსის მოადგილე შენ ტუ, სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი ლიტაო, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის სამმართველოს უფროსი ი. დანილიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორეული აღმოსავლეთის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. პალიშენკო და სხვები. (საკდესი).

კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ

მოსკოვში 1955 წლის დეკემბერში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მესამე სესია. სესიაზე განხილა ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესაბამისად საბჭოთა კავშირი ჩინეთს გადასცემს ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა და რკინიგზის ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციას, სბრძმედე, გამამდიდრებელი, სტუმბავ-საკომპრესორო საამწეო-სატრანსპორტო და სამსხვრევ-საფქვავი მოწყობილობის, სხვადასხვა სახეობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ქიმიური მრეწველობის მოწყობილობის წარმოების სამუშაო ნახაზებს, სხვადასხვა საღებრების, პიგმენტებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების აღწერილობებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს გადასცემს მთელ რიგ ქიმიურ წარმოებათა ტექნიკურ დოკუმენტაციას, საფეიქრო და თამბაქოს მრეწველობის ცალკეულ სახეობათა მოწყობილობის, სამშენებლო მანქანების სამუშაო ნახაზებს, თესლისა და ზოგიერთი პროპარატების ნიმუშებს.

ტექნიკური დოკუმენტაციის ურთიერთგაცვლასთან ერთად მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში ჩინელ სპეციალისტებს გააცნონ გამოცდილება და მიღწევები მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობისა და საფეიქრო მრეწველობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და სხვა დარგში. თავის მხრივ ჩინეთის ორგანიზაციები საბჭოთა სპეციალისტებს გააცნობენ გამოცდილებას და მიღწევებს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის აგროტექნიკის დარგში, ჩინელ მეცნიერთა ნაშრომებს მედიცინის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, ასტრონომიის დარგში და სხვა საკითხებს.

სესიის მუშაობის განმავლობაში ჩინეთის დელეგაცია გაეცნო მოსკოვის, ლენინგრადისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მთელ რიგ საწარმოებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს.

დაიწყო პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა სსრ კავშირსა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის

ულან-ბატორი — ძამინ-უდე (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა), 3 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მონღოლეთ-ჩინეთის საზღვარზე გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირსა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნას. მიტინგს დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დამბა, დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარე დუგერსურენი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები შირენდიბი და ლუბსანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ულანფუ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რკინიგზების მინისტრი ტენ დაი-იუანი, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები გზათა მინისტრის ბეშჩევის მეთაურობით, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ულან-ბატორი—ძამინ-უდეს გზის მშენებლობის უფროსი შავროვი.

მიტინგს აგრეთვე დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, ძინინ—ერლიანის რკინიგზის ჩინელი მშენებლები, რომლებიც აქ სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ.

მიტინგი გახსნა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დამბამ. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ცედენბალმა თავის სიტყვაში აღნიშნა ულან-ბატორ — ძამინ-უდეს და ერლიან — ძინინის რკინიგზების დიდი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა, მიულოცა დამსწრეთ პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა. შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ ულანფუმ და სსრ კავშირის გზათა მინისტრმა ბეშჩევმა.

მოახლოვდა საზეიმო წუთი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ცედენბალმა გადაჭრა წითელი ლენტი, რომელიც გაჭიმული იყო რკინიგზის ლიანდაგის გარდიგარდმო. შემდეგ ცედენბალმა, ულანფუმ, ბეშჩევმა, დამბამ და შავროვმა დაამაგრეს შემაერთებელი ჭანჩები სასაზღვრო პირაპირზე.

პირველმა მატარებელმა დამსწრეთა აღფრთოვანებული „ვაშას“ შეძახილებში ნელა გადაჭრა მონღოლეთ-ჩინეთის საზღვარი. 30 წუთის შემდეგ საზღვარს ერლიანიდან მოადგა პირველი მატარებელი, რომელიც პეკინიდან მოვიდა. დაიწყო პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა სსრ კავშირსა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. მონღოლმა და ჩინელმა რკინიგზელებმა სამახსოვრო დროშები გაცვალეს.

მიტინგის შემდეგ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრმა იადანსურუნმა დარბაზობა გამართა პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის გამო.

პეკინში ჩავიდა პირველი მაჯარებელი უღან-ბაჯორიდან

პეკინი, 5 იანვარი. (საკდესი). გუშინ ახალაგებული რკინიგზის მაგისტრალით, რომელიც აკავშირებს ჩინეთს, მონღოლეთსა და საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში მოვიდა პირველი მატარებელი, რომლითაც ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთავრობათა დელეგაციების წევრებს, რომლებიც ულან-ბატორიდან ჩამოვიდნენ პირველი მატარებლით, პეკინის ვაგზალში შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ლი სიან-ნიანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ხან-ფუ, რკინიგზების მინისტრის მოადგილეები ლიუ ჯენ-ცაო და ლიუ ძიან-ჯანი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე პეკინის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები და დიპლომატიური კორპუსის წევრები.

პეკინის ვაგზალში მატარებლის ჩამოსვლასა გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნას. მიტინგზე გამოვიდა სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ლი სიან-ნიანი, რომელმაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით მხურვალედ მიულოცა და გულთბილი სალამი გადასცა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს, რომლებიც ჩინეთში ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით.

ჩინელი ხალხი, თქვა ლი სიან-ნიანმა, უდიდესი სიხარულით აღნიშნავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის საერთაშორისო პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის გახსნას. ძინინ—ულან-ბატორის რკინიგზაზე მოძრაობის გახსნა ნიშნავს, რომ მწყობრში ჩადგა ახალი მაგისტრალი, რომელიც აკავშირებს ევროპისა და აზიის მოძმე ქვეყნებს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი მოძმე ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერებას, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ერთიანობისა და ძლიერებას განმტკიცებას.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მთავრობათა დელეგაციების მეთაურები.

ინგლისის ჯარების საომარი მოქმედება ომანის წინააღმდეგ

კაირო, 4 იანვარი. (საკდესი). ეგვიპტის პრესის ცნობებით, ინგლისის ჯარები განაგრძობენ საომარ მოქმედებას ომანის სასულთანოს მცხოვრებთა წინააღმდეგ. როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ წერს, ომანის იმამის წარმომადგენელმა არაბთა ქვეყნების ლიგაში შეიტანა იბრაჰიმ ათფიშმა ცრობები მიიღო, რომ ომანის დედაქალაქის დაკავების შემდეგ ინგლისის ჯარები სამი დღის განმავლობაში განაგრძობდნენ მოქმედებას ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია დამპყრობლებს. არის დიდი მსხვერპლი. ინგლისელებმა, წერს გაზეთი, ჰაერიდან დაბომბეს დასახლებული პუნქტი ჰამასა ბურაიმის ოაზისში.

შეიხმა ათფიშმა განაცხადა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძლიერ წინააღმდეგობას უწევს ინგლისელ ოკუპანტებს. ჯარები, რომელსაც მეთაურობს ომანის იმამის ძმა ემირი ალიბ ბენ ალი, ბრძოლას ეწევიან დასახლებული პუნქტის არ-რუსტაგის განთავისუფლებისათვის, რომელსაც ინგლისის ჯარებმა უკვე 10 დღეა ალყა შემოარტყეს.

პრესა იუწყება, რომ ინგლისის ჯარების მოქმედების შესახებ იმამის წარმომადგენელმა აცნობა არაბთა ქვეყნების ლიგის გენერალურ მდივანს და სთხოვა „დახმარება გაუწიოს ომანის მცხოვრებთ თავი დაიცვან აგრესორთაგან“.

საბჭოთა დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 4 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის დაბადების 80 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ბერლინში ჩამოსულმა საბჭოთა დელეგაციამ დელეგაციის ხელმძღვანელის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისა და დელეგაციის წევრების პ. ნ. პოსპელოვის, ო. ვ. კუუსინენის, ე. დ. სტასოვას და გ. მ. პუშკინის შემადგენლობით დღეს ინახულა გერმანიის ისტორიის მუზეუმი, სადაც დათვალიერა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა და კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საბჭოთა დელეგაციას ახლდნენ და ახსნა-განმარტებას აძლევდნენ გერმანიის ისტორიის მუზეუმის დირექტორი პროფესორი ა. მაიზელი და მუზეუმის თანამშრომელი გ. ტილე.

დათვალიერების დასასრულს საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა კ. ე. ვოროშილოვმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის თანამშრომლებს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს დათვალიერებინათ გამოფენები, და აღნიშნა გამოფენების კარგი ორგანიზაცია.

საბჭოთა დელეგაციამ გვირგვინით შეამკო საბჭოთა მეომრების ძეგლი ბერლინის საქალაქო რაიონ პანკოვში

ბერლინი, 4 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის დაბადების 80 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ბერლინში ჩამოსულმა საბჭოთა დელეგაციამ დელეგაციის ხელმძღვანელის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისა და დელეგაციის წევრების პ. ნ. პოსპელოვის, ო. ვ. კუუსინენის, ე. დ. სტასოვას და გ. მ. პუშკინის შემადგენლობით დღეს ინახულა გერმანიის ისტორიის მუზეუმი, სადაც დათვალიერა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა და კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საბჭოთა დელეგაციას ახლდნენ და ახსნა-განმარტებას აძლევდნენ გერმანიის ისტორიის მუზეუმის დირექტორი პროფესორი ა. მაიზელი და მუზეუმის თანამშრომელი გ. ტილე.

დათვალიერების დასასრულს საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა კ. ე. ვოროშილოვმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის თანამშრომლებს იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს დათვალიერებინათ გამოფენები, და აღნიშნა გამოფენების კარგი ორგანიზაცია.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა



სურათზე: სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

მუზეუმი სკოლაში

ლანჩხუთი. („კომუნისტის“ კორ.). ნიგვზიანის საშუალო სკოლის გეოგრაფიის შემსწავლელი წრე ნაყოფიერად მუშაობს. მისი ინიციატივით სკოლაში შეიქმნა მხარეთმცოდნეობის სასკოლო მუზეუმი. გამოფენილია გურიის დამახასიათებელი ექსპონატები: მთის ქანები, იმნათის ტორფი, ცხოველთა ფიტულები, რაიონში არსებული გამოქვაბულების, ჩანჩქერების, მდინარეებისა და ტბების სქემები და სურათები, შედგენილია გურიის რუკა.

სასკოლო მუზეუმს ბევრი მნახველი ჰყავს.

ახალი თევზი მოსახლეობას

თბილისის თევზის ქარხანა ამჟამად თევზის ჭერას აწარმოებს მდინარეებზე მტკვარზე, ხრამზე, ტბა ჯანდარზე. პირველ კვარტალში ქარხანამ მოსახლეობას უნდა მიაწოდოს 150 ცენტნერი თევზი — ხრამული, კობრი, ლოქო და სხვ.

ქარხნის კოლექტივი გაცხოველებით ემზადება თევზჭერის ახალი სეზონისათვის. ქარხანამ მიიღო რეზინის ნავები, ახალი ბადე, იარაღები.

წყალსაცავებში თევზის მოსაშენებლად ქარხნის მუშაკებმა დეკემბერში „თბილისის ზღვაში“ ჩაუშვეს 30.000 ერთწლიანი კობრი, ოქტომბერში ხრამის წყალსაცავში ჩაუშვეს 550 ცალი კობრი, ფარავნის ტბიდან გადმოიყვანეს აქ 2.000 ცალი ხრამული.

გასული წლის გეგმა ქარხანამ ვადამდე გადაკარბებით შეასრულა.

საბჭოთა მოჭიდავეები საფრანგეთში

ბორდოში საბჭოთა მოჭიდავეებს დიდი ინტერესით მოელოდნენ.

საბჭოთა სპორტსმენების გამოჩენას ფრანგი მაყურებლები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს ჭიდაობის მაღალი ოსტატობა და მოიგეს მატჩი.

უმჩატეს წონაში ბარდიბახინმა საინტერესო ბრძოლის შემდეგ დაამარცხა (ქულებით) საფრანგეთის გუნდის წარმომადგენელი ტატი. ჭიჩატე წონაში სეგენის (საფრანგეთი) წინააღმდეგ გამოვიდა სოლოვიოვი (უმჩატესი წონა). საბჭოთა სპორტსმენმა საერთო მოწონება დაიმსახურა. ფრანგები მას ხშირად ტაშით აჯილდოებდნენ. გაიმარჯვა სოლოვიოვმა. ქვემსუბუქ წონაში სტაშკევიჩმა 7 წუთსა და 40 წამში ორივე ბეჭზე დასცა მერლი. როსინი მესამეჯერ შეხვდა საფრანგეთის შვიდგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში და ორგზის ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში ბიელს. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა როსინმა. ყველაზე მცირე დრო (1 წუთი და 2 წამი) დასჭირდა გამარჯვებისათვის გამარნიკს ლაკსთან (საფრანგეთი). სუფთა გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე მანეევმა, ტკაჩევმა, კოტკასმა.

მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ბალავაძე შეხვდა საფრანგეთის 1953-1954 წლის ჩემპიონს მორისს. ბალავაძემ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა.

სასამართლო

სახელმწიფო დოვლათის დამჯაცებლები დასჯილი არიან

ვახტანგ რაჟდენის-ძე გვერდწითელი 1947 წლიდან მუშაობდა ყულარის მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში უფროსი მეღვინის თანამდებობაზე. ამავე მეურნეობაში 1950 წელს ლაბორატორიის გამგედ მუშაობა დაიწყო ალექსანდრე დიმიტრის-ძე კოპაძემ, ხოლო 1952 წლიდან მათ მიემატათ მეღვინე ნოდარ ილარიონის-ძე ბახტაძე.

უფროსმა მეღვინემ, ლაბორატორიის გამგემ და მეღვინემ მალე გამონახეს საერთო ენა და მიზნად დაისახეს სახელმწიფო დოვლათის მითვისება-დატაცება.

მოკლე დროის მანძილზე მათ მეურნეობას უდიდესი ზარალი მიაყენეს. ვ. გვერდწითელს რევიზიის დროს 1.036 დეკალიტრი სუფთა სპირტის დანაკლისი აღმოაჩნდა, ხოლო ნ. ბახტაძეს — 22 დეკალიტრისა.

სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

ვახტანგ რაჟდენის-ძე გვერდწითელს მიესაჯა 22 წლის პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით, პირადი ქონების კონფისკაცია, სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. ალექსანდრე დიმიტრის-ძე კოპაძეს — 14 წლის პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით, პირადი ქონების კონფისკაცია, სასჯელის მოხდის შემდეგ ორი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, ნოდარ ილარიონის-ძე ბახტაძეს— 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ საქმესთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემულ სხვა დამნაშავეებს — ა. ჩხეტიანს, ნ. წერეთელს და უ. ნიკობაძეს სხვადასხვა სასჯელი დაედოთ.

ს. იორამაშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სუდანი

(ცნობა)

აღმოსავლეთი სუდანი ან, როგორც მას აქამდე უწოდებდნენ, „ინგლის-ეგვიპტის სუდანი“, მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. მისი ტერიტორია 2.505.700 კვ. კილომეტრს უდრის.

ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ეგვიპტე და ლიბია, დასავლეთით — საფრანგეთის ეკვატორული აფრიკა, სამხრეთით — ბელგიის კონგო, უგანდა და კენია, ხოლო აღმოსავლეთით — ეთიოპია, ერიტრეა და მეწამული ზღვა. თანახმად 1953 წლის ცნობებისა, სუდანის მოსახლეობის რიცხვი 8.820 ათას სულს უდრის. ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ხართუმი, სადაც 92 ათასი მცხოვრებია.

უცხოელ მცხოვრებთა რიცხვი სუდანში 50 ათასს აღწევს, რომელთაგან 10 ათასამდე ინგლისელია; აქ ცხოვრობენ აგრეთვე ეგვიპტელები, ბერძნები, თურქები და ებრაელები. სუდანის მოსახლეობის 54 პროცენტი არაბულ ენაზე ლაპარაკობს. ამ ენაზე იბეჭდება სუდანში წიგნები, გაზეთები და ჟურნალები, წარმოებს რადიოგადაცემები.

1898 წელს ინგლისელებმა საბოლოოდ დაიპყრეს სუდანი. 1899 წელს მათ თავს მოახვიეს ეგვიპტეს, რომელიც აგრეთვე ოკუპირებული იყო ინგლისის ჯარების მიერ, კაბალური ხელშეკრულება სუდანში ინგლის-ეგვიპტის ერთობლივი მმართველობის (კონდომინიუმის) დაწესების შესახებ. ამ დროიდან სუდანი ფაქტიურად ინგლისის კოლონიად გადაიქცა, რომელსაც ინგლისელი გენერალ-გუბერნატორი განაგებდა; ხოლო ეგვიპტის მონაწილეობა ქვეყნის „თანამმართველობაში“ იმით გამოიხატებოდა, რომ ეგვიპტეს უნდა გაეწია ყველა ხარჯები სუდანში დაბანაკებული ინგლისის საოკუპაციო ჯარებისა და ინგლისელთა სამმართველო აპარატის შესანახად.

ინგლისელი იმპერიალისტების ხანგრძლივი ბატონობის შედეგად სუდანი დღეისათვის მეტად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. აქ პრიმიტიულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. სუსტად არის განვითარებული აგრეთვე მრეწველობა; სუდანში სულ რამდენიმე საწარმოა — ბამბის საწმენდი, ტყავისა და ცემენტის.

სისტემატურმა კოლონიურმა ექსპლოატაციამ და ძარცვა-გლეჯამ უაღრეს გაღატაკება-გაპარტახებამდე მიიყვანა სუდანელი ხალხი.

სუდანის მოსახლეობის 99 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. აქ თითქმის არ არსებობს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, რის შედეგად მეტად ხშირია ეპიდემიები. დაახლოებით 9-მილიონიან მოსახლეობაზე სუდანში სულ 76 ექიმი და 40 სამედიცინო პუნქტია.

თავისუფლებისმოყვარე სუდანელები არაერთხელ გამოსულან იარაღით ხელში უცხოელ კოლონიზატორთა ბატონობის წინააღმდეგ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სუდანში განსაკუთრებით გაძლიერდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. შეიქმნა პირველი ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც გადაჭრით გამოვიდნენ სუდანისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭების მოთხოვნით.

ანტიიმპერიალისტურმა მოძრაობამ სუდანში განსაკუთრებული გაქანება მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, როდესაც სუდანისა და ეგვიპტის ხალხებმა მოითხოვეს მათი ქვეყნების ტერიტორიებიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა და მათთვის სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მინიჭება. 1950 წელს შეიქმნა სუდანის პროფკავშირთა პროგრესული ფედერაცია, რომელმაც 54 სხვადასხვა პროფესიულ კავშირში შემავალი 180 ათასი სუდანელი მუშა და მოსამსახურე გააერთიანა. იმავე წელს შეიქმნა მთელი რიგი გლეხთა გაერთიანებები, რომელნიც მუშებთან ერთად მოითხოვდნენ თავიანთი ქვეყნიდან ინგლისელთა დაუყოვნებლივ განდევნას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სუდანში ჩამოყალიბდა პირველი პოლიტიკური პარტიები. 1945 წელს შეიქმნა პარტია „ალ-უმა“ („სახალხო პარტია“), რომელმაც გაერთიანა ქვეყნის რეაქციული ძალები. ეს პარტია აშკარად ინგლოფილურ პოლიტიკას ახორციელებს. 1946 წელს შეიქმნა სუდანის წკრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი პარტია „ალ-აშიკა“ („ნაციონალ-იუნიონისტთა პარტია“), რომელიც თავდაპირველად სუდანის დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის გზას დაადგა. ამ პარტიის სათავეში ჩაუდგა ხართუმის უნივერსიტეტის პროფესორი, მათემატიკოსი ისმაილ ალ-აზჰარი.

1951 წლის ოქტომბერში ეგვიპტის პარლამენტის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გაუქმებულად გამოცხადდა ინგლის-ეგვიპტის 1936 წლის ხელშეკრულება და 1899 წლის კონვენცია სუდანის შესახებ. სუდანის პროგრესული საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეეგება ეგვიპტელი ხალხის ამ გადაწყვეტილებას. სუდანში მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი სოლიდარობას უცხადებდნენ ეგვიპტელი ხალხის მეზგარ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას და ეგვიპტისა და სუდანისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას მოითხოვდნენ.

ინგლისელი კოლონიზატორები შეეცადნენ ფიქციური დამოუკიდებლობის მინიჭებით შეესუსტებინათ სუდანელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და გაითიშვა შეეტანათ ეგვიპტელი და სუდანელი ხალხების ერთობლივ ბრძოლაში ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამ მიზნით 1952 წელს ინგლისელებმა თავს მოახვიეს სუდანელ ხალხს რეაქციული კონსტიტუცია, რომლის თანახმად სუდანში უნდა შექმნილიყო „ეროვნული“ პარლამენტი და მთავრობა, ფაქტიურად კი მთელი ძალაუფლება კვლავ ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის ხელში უნდა დარჩენილიყო.

ინგლისელ იმპერიალისტთა ამ მუხანათურ ცდას წინააღუდგნენ როგორც სუდანის, ისე ეგვიპტის ხალხები. 1953 წლის თებერვალში ინგლისი იძულებული გახდა სუდანის საკითხზე სპეციალური ხელშეკრულება დაედო ეგვიპტის ახალ რესპუბლიკურ მთავრობასთან. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ საპარლამენტო არჩევნები სუდანში უნდა მოწყობილიყო რაიმე ზემოქმედების მოუხდენლად. თავისუფალი არჩევნების შედეგად შექმნილ სუდანის პარლამენტს 1955 წლის დამლევისათვის თვითონ უნდა გადაეწყვიტა სუდანის მომავალი ბედ-იღბალი. ხელშეკრულების თანახმად 1955 წლის ბოლომდე სუდანის მართვის განხორციელება კვლავ ინგლისელ გენერალ-გუბერნატორს ეკავებოდა.

1953 წლის ნოემბერში სუდანში მოეწყო პირველი საპარლამენტო არჩევნები. ინგლისელები ბევრს ეცადნენ მიეღწიათ, რომ სხვადასხვა მაქნაციანებით სუდანის პარლამენტში არჩეული ყოფილიყვნენ ანგლოფილური „სახალხო პარტიის“ წარმომადგენლები, მაგრამ საყოველთაო არჩევნების შედეგად ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღეს პროგრესული „ნაციონალ-იუნიონისტთა პარტიის“ წარმომადგენლებმა. სუდანის პირველი ეროვნული მთავრობის პრემიერ-მინისტრად და შინაგან საქმეთა მინისტრად არჩეულ იქნა პროფესორი ისმაილ ალ-აზჰარი, რაც სუდანის პროგრესული ძალების სერიოზულ გამარჯვებას წარმოადგენდა.

ინგლის-ეგვიპტის 1953 წლის ხელშეკრულების თანახმად გასული წლის 19 დეკემბერს სუდანის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სუდანის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ.

1956 წლის პირველ იანვარს სუდანი ოფიციალურად გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

სუდანის რესპუბლიკად გამოცხადებასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ისმაილ ალ-აზჰარიმ განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებში სუდანი მტკიცედ ითანამშრომლებს ეგვიპტესთან და რომ სუდანი, ისევე როგორც ეგვიპტე და სხვა არაბული ქვეყნები, გმობს აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისა და პაქტების შექმნის პოლიტიკას.

სუდანის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების ფაქტი მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხების მორიგ გამარჯვებას წარმოადგენს და ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კოლონიალიზმმა კიდევ ერთი მარცხი განიცადა.

სუდანის მთავრობის მეთაურის ისმაილ ალ-აზჰარის სახელზე გაგზავნილ მისალოც დეპეშაში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი გამოთქვამს საბჭოთა ხალხისა და მთავრობის ღრმა რწმენას, რომ სუდანის დამოუკიდებლობის გამოცხადება და საბჭოთა კავშირსა და სუდანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

შ. კუზდელაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი (დილას), დონ-კიხოტი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — პირველი ნაბიჯი (დილას), კიკვიძე (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი (დილას), ნანა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — პორტ-არტური (დილას), ერთი სიყვარულის ისტორია (საღამოს), **სომხური დრამის** — ალისფერი ყვავილი (დილას), სომხეთის მთებში (საღამოს), **მუსიკალური კომედიის**—პერიკოლა (დილას), საყვარელი დისშვილი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქარფული** — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 22, 12 ს.), პრინცესა ტურანდოტი (აბონემენტი № 13, 7 ს.).

კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, სპარტაკი, ისანი, ვოროშილო